კვირეული ბიულეტენი „ვერსია“ ერთი

ვერსია

№8 (1698) 10 — 16 აპრილი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ვინ იყო ბიჭი, რომელიც 9 აპრილს რუსულ ტანკს ჯოხით შეებრძოლა

„სულ დროშასთან ერთად ვხედავდი, წმინდა გიორგის დროშასთან ერთად“

რა არის „ჰავანას სინდრომი“ და როგორ მუშაობენ რუსული სპეცსამსახურები

„ქვედანაყოფ 29155“-ის დიდი საიდუმლო

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

მცხეთის რესტორანში რუსი კაპიტანი მოკლეს

საბჭოთა კავშირის გაუხმაურებელი ნარკოსკანდალი

„გაგვიმართლებს, თუ არ გვესვრიან“



როგორ დაიცვეს ქართველმა პატრიოტებმა 46 წლის წინ ჩითელი მგლებისგან დედა ენა

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია 13 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია 13 პირი, ერთი კი მხილებულია.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1999 წელს დაბადებული უცხო ქვეყნის მოქალაქე ე.ა. თბილისში დააკავეს. პატრულ-ინსპექტორებმა, ე.ა. ავტომობილით მოძრაობისას, გადამოწმების მიზნით შეაჩერეს. სამართალდამცველებმა ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 3 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ორი პირი: 2002 წელს დაბადებული რ.შ. და 1984 წელს დაბადებული გ.ჭ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ორი ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 9 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული ს.მ., 1995 წელს დაბადებული რ.ი. და წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, 1976 წელს დაბადებული გ.შ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი, საცხოვრებელი სახლებისა და ავტომობილების ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ორი ცეცხლსასროლი იარაღი და 16 ვაზნა ამოიღეს.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოსა და ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი – 1987 წელს დაბადებული რ.ვ. და 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ა. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულების საცხოვრებელი სახლებისა და დამხმარე სათავსოების ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, გადაჭრილი სანადირო თოფი, 105 ვაზნა, 2 მჭიდი და ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის საქალაქო და წალენჯიხის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1965 წელს დაბადებული თ.ქ. დააკავეს, ხოლო 1992 წელს დაბადებული პირი ამხილეს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია: სხვადასხვა მოდელის 2 პისტოლეტი და 9 ვაზნა.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, 2001 წელს დაბადებული, უცხო ქვეყნის მოქალაქე ნ.რ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბათუმში, ბრალდებულის დროებით საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს პისტოლეტი.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ორი პირი: 1973 წელს დაბადებული გ.თ. და 1972 წელს დაბადებული ჯ.გ. დააკავეს. ბრალდებულების ავტომობილებისა და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია: 3 ცეცხლსასროლი იარაღი და 73 ვაზნა.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1986 წელს დაბადებული თ.მ. დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 6 ვაზნა ამოიღეს.

მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დუშეთის რაიონული სამმართველოს ჟინვალის პოლიციის თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ერთი პირი დააკავეს.

სამართალდამცველებმა 1992 წელს დაბადებული რ.ჩ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ე.წ. აბრეზი და 19 ვაზნა ამოიღეს.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის, ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, ესპანელ კოლეგასთან ფერნანდო გრანდე-მარლასკა გომესთან ერთად, „საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის, ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ“ შეთანხმებას მოაწერა ხელი.

ვახტანგ გომელაური, დელეგაციასთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით ესპანეთის სამეფოში იმყოფება.

ესპანეთის სამეფოში შინაგან საქმეთა მინისტრს, ესპანელმა კოლეგამ – ფერნანდო გრანდე-მარლასკა გომესმა უმასპინძლა. შეხვედრაზე, მხარეებმა სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

ვახტანგ გომელაურმა ფერნანდო გრანდე-მარლასკა გომესს მადლობა გადაუხადა საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მხარეები მომავალშიც აქტიურად განაგრძობენ მუშაობას, რათა არსებული პარტნიორული ურთიერთობები კიდევ უფრო გაფართოვდეს სხვადასხვა მიმართულებით.

შეთანხმების ძალაში შესვლის შემდგომ, მხარეთა მიერ გაცემული მოქმედი მართვის მოწმობის მფლობელები, თეორიული ან პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების გარეშე შეძლებენ, მიიღონ თანაბარი ძალის მქონე მართვის მოწმობა იმ სახელმწიფოში, რომელიც მათ კანონიერ საცხოვრებელს წარმოადგენს.

შეთანხმებით განსაზღვრულია მართვის მოწმობის კლასები, რომლებიც შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ დაექვემდებარებიან გადაცვლას, კერძოდ, AM, A1, A2, A, B, B+E კლასის მართვის მოწმობების გადაცვლა თეორიული ან პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების გარეშე იქნება შესაძლებელი, ხოლო C1, C1+E, C, C+E, D1, D1+E, D და D+E კლასის მართვის მოწმობების გადაცვლისთვის, განმცხადებლებს მოუწევთ ჩააბარონ მართვის მოწმობის გამოცდა ზოგადი მოძრაობისთვის განკუთვნილ ღია გზებზე, იმ სატრანსპორტო საშუალების ან მისაბმელიანი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით, რომელთა მართვაც აღნიშნული მოწმობებით იქნება ნებადართული.

საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის, ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმება შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დასრულების შემდგომ, უახლოეს პერიოდში შევა ძალაში.

„გაგვიმართლებს, თუ არ გვესვრიან“

ნინო დოლიძე

როგორ დაიცვეს ქართველმა პატრიოტებმა 46 წლის წინ წითელი მგლებისგან დედა ენა

აპრილი საქართველოსთვის ერთგვარად საკრალური თვეა. რატომ? – იმიტომ, რომ ჩვენს უახლეს ისტორიას 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი იარა დღემდე არ მოუშუშებია. ამის მერე იყო 1990 წლის 9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. მანამდე კი, 1978 წლის აპრილში ანუ იმ დროს, როცა სსრკ-ს ბრეჟნევი მართავდა და ე.წ. პერესტროიკა შორს, ბუზისტოლადაც არ მოჩანდა, საქართველოში დიდი ვნებათაღელვა დაიწყო. ეს წითელ იმპერიაში, პრაქტიკულად, პირველი შემთხვევა იყო, როცა პატარა ერმა საკუთარი ღირსების, ამ შემთხვევაში, ენის დასაცავად ხმა ამოიღო და... სტუდენტობა ქუჩაში გამოვიდა...

მაშინ ორი წლის ვიყავი და, ცხადია, არაფერი მახსოვს, მაგრამ მერე, დრო რომ გავა, იმდროინდელი მოვლენების მონაწილეებს გავიცნობ და 1978 წლის 14 აპრილის „საიდუმლოსაც“ ამოვხსნი. ზოგადად, ეს „საიდუმლო“ დღეს უკვე ყველასთვის ნათელია – 46 წლის წინ, „დედა რუსეთი“ შეეცადა, მამულწართმეული ქართველებისთვის ენაც წაერთმია. კრემლში, ალბათ, არ ელოდნენ, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილები საკუთარ ენას კბილებით დაიცავდნენ, მაგრამ როცა ქუჩაში უამრავი ადამიანი გამოვიდა, ბოლშევიკების წითელი „ბუნაგი“ იძულებული გახდა, უკან დაეხია. ჰო, მაშინ ქართველებმა სასწაული ერთიანობა და ერთად დგომა აჩვენეს.

მოკლედ, 1978 წელს, საბჭოთა ბელადებმა გადაწყვიტეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში, ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსი გაეუქმებინათ და მთელ სსრკ-ში, სახელმწიფო ენა რუსული გამხდარიყო.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ, საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ შეიმუშავა კონსტიტუციის გეგმა, რომელშიც 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, ქართული სახელმწიფო ენად უკვე აღარ იყო გამოცხადებული... თბილისში მასობრივი გამოსვლები დაიწყო და თანდათან, ვითარება უმართავი გახდა. ამიტომ, საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი, ედუარდ შევარდნაძე იძულებული ხდება, ხალხთან გავიდეს. სხვათა შორის, ცხონებულ შევარდნაძეს, კრიტიკულ ვითარებაში მსგავსი ნაბიჯების გადადგმა სჩვეოდა...

ერთი სიტყვით, კრემლი აცნობიერებს, რომ მხოლოდ ორი გამოსავალია – სისხლისღვრა, ან დათმობა. „მოსკოვები“ მეორე გზას ირჩევს და უკან იხევს. მერე, დრო რომ გავა, ედუარდ შევარდნაძეს 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები ერთგვარ აქტივში ჩაეწერება. ყოველ შემთხვევაში, 90-იანებში, სამოქალაქო ომის პარალელურად, საქართველოში დაბრუნებული ამბროსოვიჩის მხარდამჭერები მის პატრიოტიზმზე საუბრისას, სწორედ 14 აპრილს იხსენებდნენ...



სხვათა შორის, 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები საბჭოთა „რკინის ფარდას“ გასცდა, რაც იმას ნიშნავს, რომ დასავლური მედია ქართველების ერთსულოვნებაზე ბევრს საუბრობდა.

აი, მაგალითად, 1978 წლის 15 აპრილს, New York Times-მა გამოაქვეყნა სტატია – „საბჭოთა ქართველები ქუჩებში გავიდნენ, საკუთარი სახელმწიფო ენის გადასარჩენად“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მომიტინგეთა რაოდენობა 20 ათასს უტოლდებოდა. სტატიაში, ასევე, ეწერა, რომ წინა ღამით, უცნობმა მამაკაცმა დარეკა New York Times-ის მოსკოვის ბიუროში და თქვა:

– ენასთან დაკავშირებით, კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, დემონსტრაციას ვმართავთ! გაგვიმართლებს, თუ არ გვესვრიან“.

დასასრული მე-4 გვერდზე

„გაგვიმართლებს, თუ არ გვესვრიან“

მე-3 გვერდიდან

New York Times-მა, 18 აპრილს, გამოაქვეყნა კიდევ ერთი სტატია – „საბჭოთა ქართველებმა გაიმარჯვეს ენის საკითხზე“, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება მისთვის უჩვეული დათმობაზე წავიდა და ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნა.

მომხდარს The Times-იც გამოეხმაურა, რომელმაც 17 აპრილს, სტატია გამოაქვეყნა. სტატიის მიხედვით, ორი ამერიკელი იურისტი – რობერ მაკკეი და ერიკ რაიმენი, რომლებიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდნენ, იუწყებოდნენ, რომ ქართველმა დემონსტრანტებმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ მდივანს, ედუარდ შევარდნაძეს დაუყვირეს, როდესაც ის მომიტინგეების დამშვიდებას ცდილობდა. როგორც სტატიაში იყო აღნიშნული, მაკკეი და რაიმენი დემონსტრაციის თვითმხილველებს ესაუბრნენ. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შევარდნაძემ მომიტინგეებს ამ ტექსტით მიმართა:

– ჩემო ბავშვებო, რას აკეთებთ?

– ჩვენ შენი ბავშვები არ ვართ! – უყვირეს მომიტინგეებმა შევარდნაძეს.

მერე, დრო რომ გავა, შევარდნაძე იტყვის, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში, სახელმწიფო ენად რუსულის გამოცხადების იდეის ავტორი, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი და ბრეჟნევის თეორეტიკოსი, მიხეილ სუსლოვი იყო. შევარდნაძე იმასაც იტყვის, რომ სუსლოვს განუმარტა, საქართველოში ამ იდეის რეალიზაცია სერიოზულ მღელვარებას გამოიწვევსო, მაგრამ...

– კონსტიტუციაში შევა ჩანაწერი, რომ პარტია იზრუნებს მშობლიური ენების განვითარებაზე, სახელმწიფო ენად კი რუსული გამოცხადდება, – მიუგო სუსლოვმა...

ამბობენ, რომ მაშინ შევარდნაძე ბრეჟნევსაც შეხვდა, რომელიც დაპირდა, რომ ვითარების გართულების შემთხვევაში, საქმეში ჩაერეოდა.

„დავბრუნდი და პირადად მე მოვახდინე ინიცირება კონსტიტუციის პროექტის შესწავლის“, – გაიხსენა „რადიო თავისუფლებასთან“ შევარდნაძემ და დასძინა, რომ მის ინიციატივას პირველები, მწერლები გამოეხმაურნენ. მათ შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც არ მიიჩნევდნენ დამღუპველად ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მოხსნას, თუკი სუსლოვის დაპირებისამებრ, კონსტიტუციაში ჩაიწერებოდა, რომ პარტია იზრუნებდა ქართული ენის განვითარებაზე.

„10 საათისთვის, თითქოს შადრევანმა ამოხეთქაო, აქ, ზემელზე, შეიკრა უნივერსიტეტიდან წამოსული ხალხი, პოლიტექნიკურიდან და ზემოდან, კონსერვატორიიდან, შეკრებილი ხალხი და ეს ხალხი უცბად იქცა მდინარედ“, – წლების მერე, ასე გაიხსენებს 14 აპრილის მოვლენებს ერთ-ერთი აქტივისტი.

ედუარდ შებარდანაძე: „უკვე მესმოდა: „დედა ენა! დედა ენა!“ მაშინ მე თავი გავწირე, გამოვაცხადე, რომ მივიღეთ გადაწყვეტილება ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნების შესახებ. მიკროფონი ხომ ჩართული იყო, მაგრამ ბავშვებს ეს არ სჯეროდათ“.

აქციის აქტიური მონაწილე იყო თამარ ჩხეიძე... იმდენად აქტიური, რომ კგბ-ს წარმომადგენლებმა, მის სახლში ჩხრეკა 14 აპრილამდე ჩაატარეს... 43 წლის წინანდელ მოვლენებს, „რადიო თავისუფლებასთან“, თამარ ჩხეიძე ასე გაიხსენებს:

„თუკი, ზოგადად, ასეთი რამ არ ჩანდა და შეშინებული იყო საზოგადოება, დადგა მომენტი, როცა შიში განაგდეს და გონივრულად განახორციელეს ეს აქცია და მიიღეს კიდეც შედეგი და ეს შედეგი გავრცელდა სხვა რესპუბლიკებზეც“.

1990 წელს, ქართველი ხალხის მიერ, 1978 წელს მოპოვებული გამარჯვების აღსანიშვნავად და უკვდავსაყოფად, 14 აპრილი, დედა ენის დღედ გამოცხადდა.

ბედის ირონიაა, რომ ე.წ. დედა ენის ამბებიდან 46 წლის შემდეგ, ისევ კრემლი გვიპირებს გადაყლაპვას...

რა არის „ჰავანას სინდრომი“ და როგორ მუშაობენ რუსული სპეცსამსახურები

ნინო დოლიძე

ახლახან ცნობილი გახდა, რომ თბილისში, ე.წ. ჰავანას სინდრომი დაფიქსირდა. ახალი ჟურნალისტური გამოძიების თანახმად, „ჰავანის სინდრომი“ რუსეთის სპეცსამსახურების საიდუმლო ოპერაციების შედეგია. The Insider-ის, PBS-ისა და Der Spiegel-ის ერთობლივი ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც პირველ აპრილს გამოქვეყნდა, არაერთ შემთხვევას აღწერს, როდესაც ამერიკელმა დიპლომატებმა და უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლებმა, ასევე, მათი ოჯახის წევრებმა, ჯანმრთელობის აუხსნელი დაზიანებები მიიღეს.

„ქვედანაყოფ 29155“-ის დიდი საიდუმლო

ჟურნალისტური გამოძიება იწყება თბილისიდან და აღწერს, დაზარალებულის თქმით, 2021 წლის 7 ოქტომბერს, თბილისში, დიღომში – სადაც „ამერიკული სოფელი“ მდებარეობს – მომხდარ შემთხვევას.

ჟურნალისტური გამოძიება აჩვენებს, რომ „ჰავანის სინდრომი“ თბილისშიც დაფიქსირდა – ამის შესახებ ამერიკელი დიპლომატის ცოლი საუბრობს.

ასევე, ნახეთ: ჟურნალისტებთან ამერიკელი დიპლომატის – იუსტიციის დეპარტამენტის ატაშეს ცოლი ჰყვება, რომ თბილისში, დიღომში, სახლში ყოფნისას, მოულოდნელად დაეწყო ყურისა და თავის გაუსაძლისი ტკივილი და გულისრევა [მისი სახელი, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, შეცვლილია].

უსაფრთხოების ტრენინგის გათვალისწინებით, მას შემდეგ, რაც უცნაურად იგრძნო თავი, კამერა შეამოწმა, ნახა, რომ გარეთ შავი ფერის, „მერსედესის“ მარკის ავტომობილი იდგა. გარეთ გავიდა და დაინახა, რომ იქვე იყო ქერა ახალგაზრდა კაცი.

როგორც კი ფოტოს გადასაღებად კამერა ასწია, ახალგაზრდა, მაღალი კაცი მანქანაში ჩაჯდა და გაიქცა.

რესპონდენტი ამბობს, რომ მოგვიანებით, ეს პირი ამოიცნო, როგორც ალბერტ ავერიანოვი, რუსეთის გენშტაბის მთავარი სამმართველოს, GRU-ს, აგენტი.

ავერიანოვი, გამოძიების თანახმად, მუშაობს GRU-ს ელიტურ ქვედანაყოფში, რომელსაც „ქვედანაყოფი 29155“ ჰქვია. იგი მსოფლიოს მასშტაბით, არაერთ ოპერაციაზეა პასუხისმგებელი, მათ შორის, დიდ ბრიტანეთში, სკრიპალების მოწამვლასა და ჩეხეთში, ქალაქ ვრტებიცეში, საბრძოლო მასალების საწყობში 2014 წელს მომხდარ აფეთქებაზე.

გამომძიებელი ჟურნალისტები – ხრისტო გროზევი, მაიკლ ვაისი და რომან დობროხოტოვი – წერენ, რომ მოიპოვეს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ „ქვედანაყოფი 29155-ის“ ერთმა ოფიცერმა მიიღო სახელფასო ბონუსი „არალეტალური აკუსტიკური იარაღის პოტენციური შესაძლებლობის“ შესახებ მუშაობის გამო.

მათი განმარტებით, ეს ტერმინი რუსეთის სამხედრო-სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერს „ულტრაბგერითი და რადიოტალღებზე დაფუძნებული ენერგიის მოწყობილობებს“.

გამოძიება ასევე აღწერს რამდენიმე შემთხვევას, რომ დაადგინეს, GRU-ს აგენტები იმ დროს იმყოფებოდნენ იმავე ქალაქებში, სადაც ამერიკელმა დიპლომატებმა „ჰავანის სინდრომის“ შესახებ განაცხადეს.

ცნობისთვის: „ჰავანას სინდრომი“ დაუდგენელ დაავადებას ეწოდა იმის გამო, რომ პირველად კუბის დედაქალაქში, აშშ-ის საელჩოში დაფიქსირდა – დიპლომატები და უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლები, 2016-17 წლებში, ავად ხდებოდნენ დაუდგენელი მიზეზებით.

გამოძიებაში წერია ისიც, რომ მსგავსი ინციდენტები გაცილებით ადრე, 2014 წელსაც დააფიქსირეს.

როგორ მოქმედებენ რუსული სპეცსამსახურები

საბჭოთა ანუ იგივე რუსეთის დაზვერვა ძალზე ხშირად იყენებდა რომელიმე ქვეყანაში „ჩანერგილ“ (უკვე იმ ქვეყნის მოქალაქე) არალეგალ აგენტებს, რომლებიც წლების მანძილზე, შესაძლოა, დავალებებით არ დაეტვირთათ (ამიტომაც, ამ აგენტებს ხშირად „მძინარე აგენტებსაც“ უწოდებენ) – მათ უფრთხილდებოდნენ, გამჟღავნებისგან იცავდნენ და მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის დავალებებს აძლევდნენ. „მძინარე აგენტები“ ათეული წლები ცხოვრობდნენ კონკრეტულ ქვეყანაში და სრულად იყვნენ ადაპტირებულნი ადგილობრივ გარემოსთან.

2010 წლის 28 ივნისს, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, საერთაშორისო დონის „ჯაშუშური სკანდალის“ დასაწყისად იქცა: მაშინ იუსტიციის დეპარტამენტმა, რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი ათი ადამიანის დაკავების შესახებ განაცხადა.

კერძოდ, გაირკვა, რომ აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (გფბ) რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ათი ეჭვმიტანილი დააკავა. მხოლოდ ერთმა ეჭვმიტანილმა – „კრისტოფერ მეთსოსმა“ შეძლო მიმალვა.

გფბ-ის ინფორმაციით, „მეთსოსი“ აგენტთა ჯგუფის მთავარი მეკავშირე იყო და კვიპროსიდან რუსეთის დაზვერვამ გაიყვანა (სავარაუდოდ, „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ სეპარატისტული ტერიტორიიდან).

2010 წლის ოქტომბრის ბოლოს, გფბ-მ გამოაქვეყნა ფარულად გადაღებული კადრები, სადაც ასახულია 2010 წლის ივნისში დაკავებული და შემდგომ ქვეყნიდან გაძევებული რუსეთის საგარეო დაზვერვის არალეგალი აგენტების ფარული შეხვედრები, ინფორმაციის მომენტალური გადაცემისა და სამალავში დოკუმენტების მოთავსების ეპიზოდები.

დაკავებული არალეგალი მზვერავები იყვნენ (ნამდვილი გვარის შემდეგ, მოცემულია ლეგენდის მიხედვით შერჩეული გვარ-სახელი): მიხაილ ვასენკოვი (ჰუან ლასარო) და ვიკი პელაესი; ანდრეი ბეზრუკოვი (დონალდ ჰოვარდ ჰატფილი) და ელენა ვავილოვა (ტრეისი ფოლეი); ვლადიმერ და ლიდია გურიევები (რიჩარდ მერფი და სინტია მერფი); მიხაილ კუციკი (მაიკლო ზო-

დასასრული მე-6 გვერდზე

რა არის „ჰავანას სინდრომი“ და როგორ მუშაობენ რუსული სპეცსამსახურები

მე-5 გვერდიდან

ტოლი) და ნატალია პერევერზევა (პატრიცია მილსი); ანა ჩაპმანი და მიხაილ სემენკო საკუთარი გვარებით მოქმედებდნენ. პირველი ოთხეული, ლეგენდის მიხედვით, ცოლ-ქმარი იყვნენ.

გამომჟღავნებული ათი რუსი არალეგალი აგენტიდან, ყველაზე ძვირფასი და გამოცდილი – 68 წლის მიხეილ ვასენკოვი (1942–2022), იგივე „ჰუან ლასარო“ იყო, რომელიც ჯერ კიდევ 1976 წელს, ურუგვაის მოქალაქის – „ჰუან ლასაროს“ გვარითა და ბიოგრაფიით გაგზავნეს ესპანეთში, საიდანაც გაემგზავრა ჩილეში, იქ კი ფოტოგრაფის საფარქვეშ დაიწყო მუშაობა. ამ ლეგენდით, მან მთელი ლათინური ამერიკა მოიარა და მეგობრული კონტაქტები დაამყარა სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკოსებთან და ბიზნესმენებთან.

1979 წელს, მიიღო პერუს მოქალაქეობაც.

1983 წელს, ვასენკოვ-ლასარო დაქორწინდა პერუელ ჟურნალისტ ვ იკი პელაესზე და ორი წლის შემდეგ ისინი საცხოვრებლად შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკში გადავიდნენ. ეს იყო საბჭოთა საგარეო დაზვერვის მთავარი მიზანი. საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში, მან მიიღო სამი უმაღლესი განათლება. უკვე შეერთებულ შტატებში, როდესაც ის სამოცი წლის იყო, „ლასარომ“ მიიღო დოქტორის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებაში. მისი ცოლი, რომელიც სადაზვერვო საქმიანობაში აქტიურად ეხმარებოდა, გახლდათ ერთ-ერთი გავლენიანი ესპანურენოვანი გაზეთის ჟურნალისტი, ხოლო თავად ვასენკოვს ფოტოგრაფიულო სტუდია ჰქონდა და მის ნაცნობებს შორის იყვნენ მაღალი რანგის ფუნქციონერები აშშ დემოკრატიული პარტიიდან. შემდგომში, მის მეგობრებსა და ნაცნობებს საბჭოთა და შემდეგ რუსეთის სპეცსამსახურები იყენებდნენ, როგორც აგენტ-ინფორმატორებად, ასევე, გავლენის აგენტებად. ვასენკოვის გარდაცვალების შემდეგ გაირკვა, რომ ჯერ კიდევ 1990 წელს, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის, მიხეილ გორბაჩოვის საიდუმლო ბრძანებულებით, საბჭოთა სპეცსამსახურებში წარმატებული მუშაობისა და ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის, ვასენკოვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. დღემდე უცნობია, კონკრეტულად, რა სპეცოპერაციისთვის მიენიჭა მას საბჭოთა იმპერიის უმაღლესი ჯილდო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ვასენკოვი იყო რუსეთის დაზვერვის ერთ-ერთი არალეგალური რეზიდენტი აშშ-ში და მას ათეულობით აგენტი ჰყავდა კავშირზე. დაკავების დღეს, ვასენკოვ-ლასარო უკვე 68 წლის იყო. „საპენსიო ასაკია“ – შეიძლება, იფიქროს ვინმემ, თუმცა მზვერავის პენსიონერობა ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც ნაცისტური „სვასტიკა“ – სინაგოგაში.

ტაქსისიტი ჯაშუში

ლატვიის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 2023 წლის 15 აგვისტოს დააკავა ლატვიის მოქალაქე, რიგაში მცხოვრები ტაქსის მძღოლი სერგეი სიდოროვი და ის რუსეთის სპეცსამსახურებისთვის ინფორმაციის მოპოვება–გადაცემაში დაადანაშაულა. გამოძიებამ მისი მხრიდან ჯაშუშობის 20 –ზე მეტი შემთხვევა გამოავლინა. ტაქსის მძღოლი აგროვებდა და გადასცემდა ინფორმაციას ლატვიისა და მის ტერიტორიაზე განლაგებული მოკავშირე ქვეყნების შეიარაღებული ძალების, ასევე მონაცემებს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების შესახებ. სამხედრო– პოლიტიკური ინფორმაციის მოპოვების გარდა ჯაშუში ტაქსისტი აგროვებდა ინფორმაციას იმ ლატვიური კომპანიების შესახებ, რომლებიც უკრაინას ეხმარებიან. რუს ჯაშუშს ტაქსის მძღოლად მუშაობა საშუალებას აძლევდა თავისუფლად ემოძრავა და დიდი ხნით გაჩერებულიყო ლატვიის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებთან (სამხედრო ბაზებთან, აეროპორტთან, საზღვაო პორტთან, ძალოვანი სამინისტროების ოფისებთან და სხვა).

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ არაპროვოცირებული და ფართომასშტაბიანი ომის დაწყებიდან სხვადასხვა ქვეყნებში რუსეთის სპეცსამსახურების რამდენიმე ათეული არალეგალი აგენტის გამოვლენა მოხდა. ისინი წლების მანძილზე მოქმედებდნენ ამ ქვეყნებში და ცდილობდნენ შეეღწიათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში, სპეცსამსახურებსა და თავდაცვის უწყებებში, ბიზნესსა და განათლების სფეროში და ა.შ. თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „რუსული სარეველა“ ბოლომდე მაინც არაა მოსპობილი. ეს პირველ რიგში იმ არალეგალ „თხუნელებს“ ეხება, რომლებმაც ათწლეულების მანძილზე ძალზე ღრმად გაიდგეს ფესვები.

ვინ იყო ბიჭი, რომელიც 9 აპრილს რუსულ ტანკს ჯოხით შეებრძოლა



„სულ დროშასთან ერთად ვხედავდი, წმინდა გიორგის დროშასთან ერთად“

ნინო დოლიძე

ალბათ, საქართველოში ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც გოგა ხაინდრავას გადაღებული კადრები და ის საოცრად ემოციური მომენტი არ უნახავს, როდესაც ქართველი ბიჭი რუსულ ტანკს ჯოხს ურტყამს. ის 9 აპრილის დაუმორჩილებლობის სიმბოლოდაც იქცა. ეს ბიჭი ირაკლი (შმაგი) დოლიძე იყო, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიიდან სულ რაღაც რამდენიმე თვეში ტრაგიკულად დაიღუპა.

„ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე მაია კიკაბიძე ფოტოს აქვეყნებს და სწორედ ამ მამაც ბიჭზე, ირაკლი (შმაგი) დოლიძეზე წერს.

„ერთი ბიჭი იყო, ირაკლი (შმაგი) დოლიძე, როდის გავიცანი და როგორ, არ მახსოვს, 13 წლის ვიყავი, დაახლოებით. ერთ უბანში ვცხოვრობდით, მაჩაბლის ქუჩაზე ცხოვრობდა, ჩემზე უფროსი იყო ერთი წლით და ჩემი ლამაზი კლასელი უყვარდა. შმაგი იყო ძალიან უცნაური და განსხვავებული სახელიც, შმაგი დაირქვა, ასე დამიძახეთო, მხიარული, ხმამაღალი, იმ ეპოქისთვის ძალიან თავისუფალი იყო. უცბად, საიდან სად გაჩნდებოდა ხოლმე, მეორე სართულიან ხტებოდა. მთამსვლელობა უნდოდა, ერთხელ, ვიღაცამ „ბათინკები“ აჩუქა, დიდი, ბრაგუნა „ბათინკები“ და ზაფხული იყო, იმით დადიოდა, მთაში მივდივარო, მე და ჩემს კლასელს სულ დაგვყვებოდა აქეთ-იქით უბანში, რაღაცებს გვიყვებოდა ხელგაშლილი, ემოციურად აჟიტირებული ხასიათით და იპრანჭებოდა.

ერთხელ, დამიძახა და ხელი გავიჭერიო, მითხრა, მუშტი შეკრული ჰქონდა, გაშალა და ვხედავ, ხელის გული გაჭრილი ჰქონდა, ნემსით და ძაფით ამოუკერია, უნდოდა, ეს ვაჟკაცობა მომეყოლა ჩემი მეგობრისთვის.

ყოველდღე მხვდებოდა თითქმის, უბანში, ხან – თავის ქუჩაზე, ხან – „ბირჟასთან“, სულ სოლოლაკში და ამ დროს, ყველგან იყო. თავისუფლება ცხოვრობდა მასში, უშუალო ადამიანი, პატარასთან და უფროსთან ერთნაირად მეგობრობდა და ყველას უყვარდა, მასზე არასოდეს გამიგონია რამე უარყოფითი.

ყველა იცნობდა, თბილისი იცნობდა. ერთ დღეს, სახლში მივედი და დედაჩემმა ძალიან ცუდი ამბავი მოხდაო, მითხრა...

რამ გამახსენა შმაგი...

გუშინ ტვ-ში, ფიქრია ჩიხრაძე იგონებდა 9 აპრილს. არასოდეს არავის უხსენებია და მან ახსენა – იყო ერთი, პატარა ბიჭი, შმაგი დოლიძეო, აი ისო, პატრიარქი ვინც გაიყვანა და აეფარაო, კადრშიც ჩანსო, მიკროფონიც უჭირავს, ეს ის ბიჭიაო, ჯოხს რუსულ ტანკს რომ ურტყამს, უკან დაიხიეთო, კადრებშიც ჩანსო... გული გამიჩერდა, 9 აპრილს გადარჩა, ისეთი იყო, რომ იქიდან ბევრს გამოიყვანდა და გადაარჩენდა. ერთი წელი იყო გასული 9 აპრილის შემდეგ, რუსთაველზე იდგა, ტაქსის აჩერებდა და მანქანა დაეჯახა. იყო ასეთი ადამიანი, კარგი და საამაყო შმაგი“, – წერს მაია კიკაბიძე.

ნაწყვეტი ნაირა გელაშვილის წერილიდან „შმაგი“:

„ეს ფეთქებადი, თითქმის შემაშინებელი სახელი ერქვა ირაკლი დოლიძეს.

მე მას კარგად არ ვიცნობდი. უბრალოდ, ხშირად ვხედავდი: ჩემს სამსახურში („მთარგმნელთა კოლეგიაში“), უნივერსიტეტის ეზოში, სტუდენტებში, მიტინგებზე, დემონსტრაციებზე...

დასასრული მე-8 გვერდზე

ვინ იყო ბიჭი, რომელიც 9 აპრილს რუსულ ტანკს ჯოხით შეებრძოლა

მე-7 გვერდიდან

(მაგრამ არსებობენ იმდენად მკვეთრი ადამიანები, რომლებზედაც ყველას ჰგონია, რომ კარგად იცნობს მათ).

პირველად, ვეებერთელა დროშასთან ერთად დავინახე, რომელიც, რატომღაც, ჩვენი სამსახურის შენობაში შემოიტანა, დადიანის N2-ში. ძლივს გაატია ვიწრო, დაბზარულ კორიდორში. მერე მორყეული და ჩამოსაქცევად გამზადებული კიბით მეორე სართულზე ამოიტანა (ჩვენი სამსახურის შენობა – დასანგრევად გამზადებული სახელმწიფოს სიმბოლოა ფილმში „ცისფერი მთები“). აქ ბევრი მეგობარი ჰყავდა. ყველაზე მეტად კი ზურაბ ჭავჭავაძესთან ახლობლობდა, რომელსაც „კნიაზს“ ეძახდა.

მერეც სულ დროშასთან ერთად ვხედავდი, წმინდა გიორგის დროშასთან ერთად.

რატომღაც, თვალწინ სულ ჯაჭვისპერანგიანი მედგა, არ ვიცი, როდესმე მართლა ეცვა, რაღაც ამის მსგავსი, ის ჩამრჩა მეხსიერებაში, თუ მთლიანად ჩემი წარმოსახვისგანაა მოქსოვილი მისი ეს რკინის საფარველი...

ერთ ადგილას გაჩერებული არ დამინახავს. ჩემს ხსოვნაში მას რაღაც მძაფრი მოძრაობა ახლავს მოუშორებლივ: რაღაც გაქანება: კი არ დადიოდა – დაექანებოდა...

ისევ და ისევ ერთ სურათად იკვრება ჩემს ხსოვნაში ვეება დროშის ფრიალი, ჯაჭვის პერანგი, ხელების, სხეულის მძაფრი მოძრაობა და სახელი: „შმაგი“... და ამ დროს წარმოსახვა ჯიუტად ეზიდება ჩვენი ბოლო ორი, საბედისწეროდ არეულ-გადარეული წელიწადის აკომპანიმენტს: „შავლეგ, შენი შავი ჩოხა შავლეგოოო“... „კნიაზთან“ – ზურაბ ჭავჭავაძესთან, მის ოთახში იკეტებოდა და ამ სიმღერას ასწავლიდა... ისხდნენ ხოლმე და მღეროდნენ, სულ თვალები უბრწყინავდათ... „შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგოო... სისხლში გაგიხამებია, შავლეგოო“...

აკი, ეს სიმღერა-გოდება დაემგზავრა ამოძრავებული ახალგაზრდების სწრაფ ნაკადებს, სადაც შმაგი, თითქოს მდინარეს აღმა მიაპობსო, მხრების ისეთი მოძრაობით მიექანებოდა.

ეს გადარეული მოძრაობა, ეს წრიალი, მოუსვენრობა, გაჭრა, ხეტიალი, მიწყდომ-მოწყდომა – როგორ ხშირად მიანიშნებს ხოლმე, რომ ჩქარობს ადამიანი, ჩქარობს მოასწროს ყველაფერი, მთელი სიმძაფრე და სისავსე ყოფიერებისა ერთბაშად შთანთქას, ჩაიქციოს თავის არსებაში... და როგორ დატივტივებს ამ სისწრაფის შმაგ ტალღებზე ადრეული სიკვდილის ხელებგამოწვდილი აჩრდილი.

და როგორც მერე, მისი ნაწერებიდან შევიტყვეთ – სიკვდილზეც ხშირად ფიქრობდა და ფიქრობდა მძაფრად...

ხეტიალი, წერა, სიმღერა, სმა, დაკვრა, ცეკვა, მიტინგებზე, დემონსტრაციებზე ბობოქრობა, დაძახილები. უნდა დაეწვა, სწრაფად დაეხარჯა ის ძალ-ღონე, რაც ზომიერი სიცოცხლის ას წელიწადს გასწვდებოდა... ერთხელ შევესწარი მოსაუბრეს: სპიტაკის მიწისძვრის მძიმე შთაბეჭდილებებზე ჰყვებოდა, სადაც მაშინვე „გაექანა“ მისახმარებლად.

ერთ ადგილას მშვიდად გაჩერებული არ მინახავს-მეთქი...

მაგრამ თავისი სიცოცხლის ბოლო წუთებში, ის თურმე იდგა: ღამით, წვიმაში, უკაცრიელი ქუჩის პირას. იდგა და ელოდა.

მოტეხილი ფეხი უკვე უხორცდებოდა, ე.ი. მისი სისწრაფე და მოძრაობა გადატანილი ფათერაკით შეფერხებული იყო: ყავარჯენს ეყრდნობოდა.

და – აი, მთელი მისი არსებობის სიშმაგე და ენერგია მის ბედისწერაში გადაინთხა. თითქოს, არც ერთი წუთით არ შეიძლებოდა მისი მოსვენება. მისი სისწრაფე მისმა ბედისწერამ მიითვისა და შეახეთქა...



„მანქანა ისეთი სისწრაფით მოჰქროდა, მფრინავი თეფში მეგონაო“, – უთქვამს ერთ შემსწრეს.

მისკენ მიჰქროდა. ის კი რკინის სვეტთან იდგა და ელოდა: მშვიდად, მისმა სიცოცხლემ გამოკვება მისი სიკვდილი. მისი სახელი მიიტაცა მისმა სიკვდილმა: უფრო შმაგი და მძვინვარე სიკვდილი ძნელი წარმოსადგენია;

კუბო არ აუხდიათ.

ერთი კვირის შემდეგ, 13 ოქტომბერს, მერაბ კოსტავა დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

და ნელ-ნელა, ჩემს წარმოსახვაში, შმაგი მერაბს დაუკავშირდა: ისე მიუახლოვდა მერაბს, ისე მიეკრა და მიეტყუპა, თითქოს შვილი ყოფილიყოს მისი, ან უმცროსი ძმა. მერე კი მივხვდი: შმაგი მერაბად იქცა, ოცი წლის მერაბად – ოღონდ, უფრო ლაღი იყო შმაგი, უფრო ლაღი, ვიდრე შეიძლებოდა მერაბი ყოფილიყო მის ასაკში“.



სამართალი

№8 10 აპრილი 2024 წ

მცხეთის რესტორანში რუსი კაპიტანი მოკლეს

საბჭოთა კავშირის გაუხმაურებელი ნარკოსკანდალი

ბათო ჯაფარიძე

ახლა ყველაფერი თითქოს მარტივია, თუნდაც საიდუმლო დოკუმენტაციის გაგზავნა მკაცრად დაცული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეიძლება, აუცილებელი არ არის, ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობა და სპეციალური კურიერების გაგზავნა. ადრე კი ასე არ იყო. თუნდაც, მხოლოდ საბჭოთა კავშირი რომ ავიღოთ, საიდუმლო ბრძანება, რომელსაც, მაგალითად, მოსკოვში გამოსცემდნენ და აუცილებელი იყო ყველა რესპუბლიკისთვის, ადგილამდე ვინმეს უნდა ჩაეტანა. ჰოდა, კავკასიაში ერთი კურიერი მოდიოდა, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არიგებდა ბრძანებებს, ბალტიისპირეთშიც ერთი – ლიეტუვას, ლატვიასა და ესტონეთს სტუმრობდა, ერთიც – შუა აზიაში, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი უნდა მოეარა და ა.შ. რა თქმა უნდა, კურიერი არ იყო რიგითი ადამიანი, ის წოდებით, ყველაზე ცოტა, კაპიტანი უნდა ყოფილიყო და რაც მთავარია, უდიდესი ნდობა ჰქონოდა. ასეთ კურიერებს დაჰქონდათ სპეციალურად დალუქული კონვერტები, სპეციალურ დიპლომატებში ჩადებული, გარდა ამისა, ყველა დიპლომატს ცალკე შიფრი ჰქონდა. საინტერესო ის გახლდათ, რომ ყველა დიპლომატში წერილი ცალ-ცალკე იდო ანუ კავკასიაში მომავალ კურიერს თან სამი დიპლომატი ჰქონდა...

მცხეთაში, რესტორანში, ჩხუბი მოხდა, რის შემდეგაც ერთერთმა მიმტანმა „02“ აკრიფა, მილიციაში დარეკა და ადგილზე მისულ სამართალდამცავებს 40 წლამდე მამაკაცი დახვდათ გარდაცვლილი. უფრო სწორად, ის მოკლული იყო და ეტყობოდა კიდეც, მუცელში დანით ორი ჭრილობა რომ ჰქონდა. ჩხუბში მონაწილეებიც იქვე იყვნენ, არც გაქცეულან, რადგან... იმდენად გახლდნენ ნასვამები, რომ გაქცევის თავი აღარ ჰქონდათ. შესაბამისად, ოპერმუშაკებს საქმე გაუიოლდათ, იქვე დაკაავეს მთავარი ეჭვმიტანილები და მკვლელის სავარაუდო იარაღიც იატაკზე ეგდო. საქმეს ეტყობოდა, რომ მარტივი იქნებოდა და გაიხსნებოდა, მაგრამ როცა გარდაცვლილის საბუთები ნახეს, მიხვდნენ, საქმე ბევრად რთულად იქნებოდა. გარდაცვლილი სამხედრო კურიერი გახლდათ და მივლინების ბარათებით თუ იმსჯელებდნენ, სომხეთი და აზერბაიჯანი უკვე მოვლილი ჰქონდა და საქართველოში სამი დღის ჩამოსული იყო. რა თქმა უნდა, საქმეს მაშინვე გრიფით საიდუმლო დაედო.

„სამი დღის ჩამოსული? ჩვენ მას ხვალ ველოდით... ვერ ვხვდები, რატომ ჩამოვიდა ასე ადრე და ვერც იმას ვხვდები, თუ ჩამოვიდა, რატომ არ მივიდა სამინისტროს ბალანსზე არსებულ ბინაში და რატომ არ შეგვეხმიანა“, – მხრებს იჩეჩავდა თავდაცვის უწყების წარმომადგენელი, მაგრამ ამ საქმეში ყველაზე ცუდი ის იყო, რომ საქართველოსთვის განკუთვნილი დიპლომატი არსად ჩანდა ანუ ვიღაცამ დიპლომატი გააქრო. ოფიციანტი, რომელმაც მილიციას დაურეკა, დაბეჯითებით იმეორებდა, დიპლომატი თან ჰქონდა, ზუსტად მახსოვსო და დიპლომატს ისე ახასიათებდა, ცხადი იყო, ნანახი ჰქონდა. ძალოვნებს სხვა სადარდებელი გაუჩნდათ – საქმე მხოლოდ მკვლელობას კი არა, სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებას ეხებოდა და არ გამორიცხავდნენ, რომ საქმეში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ყოფილიყვნენ გარეულნი. ყველა ძალოვანი უწყება ფეხზე დადგა და ახლა მთავარი იყო, იმ დაკავებულების დაკითხვა, რომლებიც ჩხუბში და, შესაბამისად, მკვლელობაში მონაწილეობდნენ. მით უმეტეს, ექსპერტიზამ დაადასტურა, დანაზე, რომელიც შემთხვევის ადგილზე ნახეს, ორი დაკავებულის თითების ანაბეჭდები იყო, გარდაცვლილს კი დანა სწორედ ორჯერ ჰქონდა დრტყმული. გამომძიებელი მათ გამოფიხიზლებას დაელოდა, შემდეგ კი დაკითხვაზე შეიყვანა.

„ჩვენთვის ვისხედით და ვქეიფობდით, როცა საკმაოდ გამომწვევად ჩაცმული, ქერა ქალი შემოვიდა რესტორანში და უკანალის ქნევით, სწორედ ჩვენს მაგიდასთან ჩაიარა. ჩემმა მეგობარმა უკანალზე ხელი წამოარტყა, ქალმა ოდნავ შეჰკივლა, ის ვიღაც კი წამოხტა და გვეცა. ალბათ, სპორტსმენია, მაშინვე დაგვყარა და დანა ვიხმარეთ, მაგრამ არ მოგვიკლავს, ისეთ ადგილებში დავარტყით და ისეთი სიძლიერით, რომ არ უნდა მომკვდარიყო“, – განაცხადა ერთ-ერთმა დაკავებულმა და ამ დროს ექსპერტიზის დასკვნაც მოვიდა – კაპიტანი არა დანით, არამედ, ნარკოტიკების ზედოზირებით იყო გარდაცვლილი.

„გარდაცვლილს დანით მიყენებული ჭრილობები არ მოკლავდა, ის ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზის, კონკრეტულად კი, „ოპიუმის“ მიღების შემდეგ გარდაიცვალა. „ოპიუმი“ მის სხეულში ალკოჰოლთან, კონკრეტულად, სომხური წარმოების კონიაკთან ერთად მოხვდა“, – ეწერა ექსპერტიზის დასკვნაში.

„ოპიუმის“ სამშობლოდ ავღანეთი კი ითვლება, მაგრამ საბჭოთა კავშირის დროს, მას დიდი რაოდენობით ყირგიზეთსა და უზბეკეთში აწარმოებდნენ. ძალოვნებმა მიაგნეს და გაჩხრიკეს ის ოთახი, რომელიც გარდაცვლილს ჰქონდა ნაქირავები და სწორედ იქ ნახეს სომხური კონიაკი, რომელიც იმ დროს საქართველოში არ იყიდებოდა ანუ სომხეთში ჰქონდა შეძენილი. შესაძლებელი იყო, „ოპიუმით“ კონიაკი სწორედ მეზობელ რესპუბლიკაში მოუწამლეს და მან სითხე მხოლოდ აქ მიიღო. ოთახში იყო ბანქო და... ქალის საცვალი. სახლის მეპატრონემაც დაადასტურა, რომ მასთან ერთად ქალი ცხოვრობდა, რომლის აღწერილობა... ზუსტად დაემთხვა იმ ქალისას, რომელსაც რესტორანში „უკანალზე წამოარტყეს“. სახლის მეპატრონემ ისიც თქვა, საღამოობით, აქ ბანქოს თამაშობდნენ, ეს სამხედრო, ის ქალი და კიდევ ორი ახალგაზრდა მამაკაციო... დიპლომატი არც იქ იყო საიდუმლო საბუთებთან ერთად, გამქრალი გახლდათ ტაბელური იარაღიც, რომელიც სამხედრო კურიერებს მუდმივად ჰქონდათ.

მომხდარიდან მეორე დღეს, წყნეთში, ტყის მასივში, ახალგაზრდა კაცის გვამი იპოვეს. მის გვერდით დაკარგული დიპლომატი ეგდო, რომელშიც დალუქული წერილი ხელუხლებელი იდო, მაგრამ იარაღი არსად ჩანდა. გაირკვა, რომ ახალგაზრდა მამაკაცი იმავე რესტორანში მტვირთავად მუშაობდა. მისი ფოტო ბინის მეპატრონეს ანახეს და მან დაადასტურა, რომ ბანქოს მოთამაშე ოთხი ადამიანიდან ერთ-ერთი, სწორედ ეს იყო. ექსპერტიზამ დალუქული წერილი შეამოწმა და დაადგინა, რომ ის არავის გაუხსნია ანუ სახელმწიფო საიდუმლო გადარჩა, მაგრამ ძიება, რაღა თქმა უნდა, მაინც გრძელდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ძალოვნებს მხოლოდ მითიური ქერათმიანი, მკერდსავსე ქალი უნდა ეძებნათ, კიდევ უნდა მოენახათ ბანქოს მეოთხე მოთამაშე, რომელსაც სავარაუდოდ, ყველაფერს ათქმევინებდნენ. რადგანაც კვალი იმ რესტორანში მიდიოდა, ბინის მეპატრონეს ყველა თანამშრომლის სურათები დაათვალიერებინეს და მან ხელი... იმ ოფიციანტის ფოტოს დაადო, რომელმაც მილიციაში დარეკა და რომელიც საქმეში ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო. რაღა თქმა უნდა, მისი დაკავება მარტივი იქნებოდა, მაგრამ თვალთვალის დაწესება ამჯობინეს. უკვე მეორე დღეს, ოფიციანტი ქუჩაში ქერა, მკერდსავსე ქალს შეხვდა, ცოტა ხანს ესაუბრა, მერე კი ორივე ოფიცანტის ბინაში წავიდნენ. დაყოვნებას აზრი არ ჰქონდა – ბინაში შესვლისთანავე, ოპერმუშაკები ფეხდაფეხ მიჰყვნენ წყვილს და ხელებზე ბორკილები დაადეს. პირველი, რაც ქალმა იყვირა, ძალოვნების ყურს საამოდ მოხვდა – „მე არ მომიკლავს!“ ეს იმას ნიშნავდა, რომ ქალმა იცოდა, რისთვის დააკავეს და თანამშრომლობისთვისაც მზად იყო.

„ოფიციანტი ჩემი მეგობარი მამაკაცია. სწორედ მან მთხრა, ვიღაც სამხედროა ჩამოსული, ბანქოს მოთამაშეებს ეძებს და რაც მთავარია, ბევრი ფული აქვსო. ამიტომ, ჩვენი მტვირთავი წავიყავნეთ და წავედით. ასე, 500 მანეთი მოგვიგო, ძალიან გაუხარდა და მე მთხოვა, ჩემთან დარჩიო. დავრჩი, დავლიეთ და სწორედ მაშინ მითხრა, ძალიან ბევრი ფული მაქვს, მარტო წერილების კურიერი კი არ ვარ, „ოპიუმიც“ დამაქვს, მე არავინ მაჩერებს და არავინ მჩხრეკსო. დიპლომატში 30 ათასი მანეთი ედო. გადავწყვიტეთ, როგორმე დიპლომატი მოგვეპარა და მეორე დილით, კვლავ ბანქოსთვის უნდა შევკრებილიყავით. ცოტა „ოპიუმი“ მოვიპარე, კონიაკს ვსვამდით და კონიაკის ბოთლში ჩავუსხით. გვეგონა, იქვე გაითიშებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მერე თქვა, საქმე მაქვსო და ყველა წამოვედით, თუმცა მე დავუყარაულე და უკან გავყევი, შეიძლებოდა, შუა ქუჩაში გათიშულიყო და დიპლომატი უნდა მომეპარა. რესტორანში მივიდა და შევყევი. მოხდა ის, რაც დაგეგმილი არ იყო, დანაზე წამოაგეს, თან ნარკოტიკებმაც სწორედ მაშინ იმოქმედა და მე დიპლომატი ავიღე, არეულობაში იქაურობას გავერიდე. ის იდიოტი მტვირთავი მერე ჩვენ გვაშანტაჟებდა, ფული სულ მე მომეცით, თორემ მილიციას შევატყობინებო. ოფიციანტმაც მოკლა და ტყეში დაადგდო, წერილისთვის ხელი არ გვიხლია, მივხვდით, საიდუმლო იყო და არ გვინდოდა, ამის გამო, დამატებით ვეძებნეთ“,-განაცხადა ქალმა.

ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა. ოფიციანტი და მისი მეგობარი ქალი დააკავეს, შეისწავლეს მარშრუტი, რომლითაც კაპიტანი მოძრაობდა და ყაზახეთში დააკავეს კოლმეურნეობის ხელმძღვანელი, რომელიც კაპიტანს „ოპიუმით“ ამარაგებდა. იმის გათვალისწინებით, რომ კონიაკის ბოთლში „ოპიუმი“ ოპფიციანტმა შეიყვანა, მას სასჯელის მაქსიმალური ზომა შეუფარდეს, მაგრამ შემდეგ 15-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს და ამის ერთადერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ სიკვდილმისჯილების თემით დასავლეთი განსაკუთრებით ინტერესდებოდა და არ სურდათ, მომხდარის შესახებ ევროპული თუ ამერიკული ქვეყნების წარმომადგენლებს საქმის დეტალები გაეგოთ.

ვინ არის მამაკაცი, რომელიც პენსიონერ ქალბატონებზე ნადირობს

დიდი თაღლითობის უცნობი დეტალები

ბათო ჯაფარიძე

ალბათ, ყველას ჰყავს სანათესაოში, სამეზობლოში, სანაცნობოში მოხუცი (გნებავთ, ახალგაზრდა), რომელიც პროთეზს ხმარობს. ისეთი ადამიანიც მინახავს, რომელიც ამბობდა, თუ გინდა, ხელი მომაჭრან, ოღონდ ყველა კბილი ჯანსაღი მქონდესო. ზოგადად, ჯანსაღი კბილები ცალკე ბედნიერებაა და პროთეზი... ესეც გამოსავალია და არავინ იცის, ვის როდის დასჭირდება. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, ორიოდე წლის წინ, ერთ-ერთ რეგიონში მოხდა და რომ არა ცოტა სასაცილო შემთხვევა, ეგებ, არც არავის გაეგო, მაგრამ უცნაურად დაწყებული ამბავი, უფრო უცნაურად გაგრძელდა. საბოლოოდ კი, კრიმინალსა და ლამის ნახევარი საუკუნის დაქალებს შორის ჩხუბით დასრულდა.

ერთ-ერთ კორპუსში მცხოვრებ სამართალდამცავს მეზობელმა მიუკაკუნა, გეხვეწები, მიშველე, შარში ვარო. როგორც გაირკვა, ქალის დედას პროთეზი მოპარეს და ეჭვმიტანილი შვილიშვილი იყო. პოლიციელი თავიდან ვერ მიხვდა, რაში უნდა დასჭირვებოდა შვილიშვილს 70 წელს მიღწეული ბებიის პროთეზი, მაგრამ დედაც და ბებიაც ამტკიცებდნენ, დიდი ალბათობით, სწორედ იმან წაიღო, რადგან პროთეზში ერთ-ერთი კბილი ოქროსი იყო და როცა ბებია იღიმოდა, ოქრო სწორედ მაშინ ანათებდა ტუჩის კუთხიდან. შვილიშვილი იმ დროს სახლში არ იმყოფებოდა და პოლიციელმა პირობა დადო, როგორც კი ვნახავ, დავკითხავო, მაგრამ...

„მთელი უბედურება ის არის, რომ დედა დღეს პაემანზე მიდის ანუ პროთეზი საღამოს ექვს საათამდე უნდა მონახოთ. სხვაგვარად აზრი არ აქვს, დავრეკე კლინიკებში და საღამოს ექვსამდე პროთეზს ვერავინ დაამზადებს“, – თქვა ქალმა. პოლიციელმა პირი დააღო, ჯერ მოხუცს შეხედა, მერე მის შვილს, რომელიც 50 წლამდე იქნებოდა და იფიქრა, მამასხარავებენო, მაგრამ არა.

„ორი თვეა, დედაჩემს კარგი მობილური ვუყიდე, სოციალურ ქსელშიც დარეგისტრირდა, რაღაც ჯგუფებშიც გაერთიანდა და იქ გაიცნო ქვრივი მამაკაცი, რომელსაც დღეს უნდა შეხვდეს. ის კაცი ეუნება, უნახავად მიყვარხარო და ესეც გადარეულია. რომ არ შეხვდეს, მთელი დარჩენილი ცხოვრება მე დამადანაშაულებს, რადგან მთავარი ეჭვმიტანილი ჩემი შვილია. გემუდარები, მიშველე, ამ საქმიდან როგორღაც გამომიყვანე, ცხოვრებას ჯოჯოხეთად ნუ მიქცევ“, – ემუდარებოდა ქალი.

პირველ რიგში, პოლიციელმა მთავარ ეჭვმიტანილს ანუ დაზარალებულის შვილიშვილს დაურეკა და შეხვედრა სთხოვა. ბიჭი შეხვედრაზე დათანხმდა და უთხრა, მთავარ ეჭვმიტანილად ოჯახის წევრებს შენს ჰყავხარო.

„მესმის, იმათ ჰგონიათ, რომ ფული არ მაქვს, რადგან სულ ვწუწუნებ, სულ ფულს ვეძებ. რეალურად, ავტომობილის ყიდვა მინდა. აგერ, ჩემს ტელეფონში ანგარიშს განახებთ, სადაც 20 ათას ლარზე მეტი მიდევს, მაგრამ ეს ჩემი ოცნების მანქანისთვის არ კმარა. როგორ გგონიათ, ბებიას მოვპარავდი პროთეზს, რომელზეც, დაახლოებით, მეოთხედი გრამი ოქრო იყო და 50 ლარს მომცემდნენ? არა, მე დღისითაც და ღამითაც ვმუშაობ, დღეში, დაახლოებით, 200 ლარამდე შემოსავალი მაქვს და ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ოცნება ავიხდინო. დამნაშავეს თუ მართლა ეძებთ, მე არ ვარ და სიმართლე გითხრათ, ვერც ვხვდები, ვის შეიძლებოდა დასჭირვებოდა ბებიას პროთეზი და თანაც იმ უმნიშვნელო ოქროს გამო. ისე, ბებია ამბობს, ოქროაო და შეიძლება, არც არის ოქრო. მოკლედ, მე დამნაშავე არ ვარ“, – ბიჭი აშკარად გულწრფელად საუბრობდა და პოლიციელიც დაზარალებულთან დაბრუნდა. საათი ექვსის ნახევარს უჩვენებდა და მოხუცი ცხარე ცრემლით ტიროდა.

სწორედ იმ დროს, მასთან მეზობელი შევიდა, ქალი, რომელიც დაზარალებულის საუკეთესო მეგობარი იყო და ნახევარი საუკუნის ურთიერთობა აკავშირებდა. მომხდარის შესახებ რომ გაიგო, ჩაფიქრდა, მერე კი საინტერესო კითხვა დასვა – „ის კაცი სახეზე გიცნობს?“ როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, დაქალს უთხრა, შენს მაგივრად შეხვედრაზე მე წავალ, ჯერ არ ვეტყვი, რომ შენ მისვლა ვერ მოახერხე, დაველაპარაკები, იქნებ, ვიღაც ვიგინდარაა და თუ შევატყვე, რომ ნორმალური ადამიანია, ავუხსნი, ვეტყვი, რომ ცუდად ხარ, დღეს ვერ მიხვედი და შეხვედრას ზეგისთვის დავუნიშნავო. ეს აზრი ყველას მოეწონა და მოხუციც თავის ბინაში გაცუხცუხდა, გამოვიცვლი, მოვემზადებიო.

პოლიციელს რაღაც არ მოეწონა და გადაწყვიტა, მეზობლისთვის ეთვალთვალა. ის მართლაც „გამოიპრანჭა“, წითელი, კვასკვასა პომადაც წაისვა და იმ სკვერისკენ წავიდა, სადაც შეხვედრა იყო დანიშნული. პოლიციელი უკან ჩუმად გაჰყვა. სკვერში სკამზე ერთადერთი ხანშიშესული მამაკაცი იჯდა, მაგრამ 70 წელს მიღწეული ნამდვილად არ იქნებოდა, ბევრად ახალგაზრდა ჩანდა. როცა მოხუცი მიუახლოვდა, თვალები გაუბრწყინდა, დაუდასტურა, მე ვარო და ქალმა მკაცრად ჰკითხა, ასაკი რატომ მოიტყუეო.

„დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ ათი წლით უმცროს კაცთან შეხვედრაზე უარს იტყოდით. მე კი, ისე მოვიხიბლე თქვენით, დარწმუნებული ვარ, ურთიერთობას მოვახერხებთ და თუნდაც დღესვე, მზად ვარ, საცხოვრებლად ჩემთან დაგპატიჟოთ. როგორ ქალსაც ველოდი, ზუსტად ისეთი ხართ. ღმერთო, არ მჯერა, ამ ასაკში, რომ გარდაცვლილი მეუღლის შემდეგ, ვინმე შემიყვარდებოდა და ასე მოვიხიბლებოდი“, – მამაკაცი არ ჩერდებოდა და... ქალი, რომელსაც უნდა ეთქვა, რომ მეგობარმა მისვლა ვერ მოახერხა, უბრალოდ, დუმდა და სახეგაბადრული უსმენდა.

ყველაფერი ესმოდა პოლიციელსაც და პროცესის დასრულებას ინტერესით ელოდა. მოულოდნელად, მამაკაცს ტელეფონზე დაურეკეს, მან ნერვიულად გადააქნია თავი და საუბარიც დაიწყო...

„ხომ გითხარით, რომ ფულს მოგიტანთ? 100 ლარზე ამდენს რომ მალაპარაკებთ, არ გრცხვენიათ? ახლავე გამოვდივარ და ფულს მოგართმევთ“, – თქვა მან ტელეფონში და ნერვიულად გათიშა. ქალმა ცნობისმოყვარე თვალები მიაპყრო.

„შვილიშვილი მყავს ცუდად, ოპერაცია სჭირდება, 5 ათასი ლარი ჯდება. შვილს რაც ჰქონდა, მისცა, 2 ათასი მე დავუმატე და ახლა რეკავენ, ასი ლარი აკლიაო და ოპერაციის დაწყებას არ აპირებენ. საავადმყოფო კი აქვეა, მაგრამ თანხა თან არ მაქვს. პრინციპში, არც სახლში მაქვს, მეზობელს გამოვართმევ. ბოდიში, წასვლა რომ მიწევს, მაგრამ უნდა გავიქცე“, – თქვა კაცმა და წამოდგა.

ქალს თვალები აუცრემლიანდა, ჩანთა გახსნა, ასი ლარი ამოიღო და კაცს მიაწოდა, დროს ნუ დაკარგავთ, პირდაპირ საავადმყოფოში წადითო. კაცმა იუარა, მერე ხელი აიქნია, მაინც კიდევ უნდა გნახოთ და დაგიბრუნებთო, ფული გამოართვა, ხელზე ეამბორა და წავიდა. პოლიციელი მას ფეხდაფეხ მიჰყვა, მიხვდა, საქმე თაღლითთან ჰქონდა და არც შემცდარა – მამაკაცმა კუთხეში შეუხვია თუ არა, ფული საფულეში გადაიტანა, საათს დახედა და ასე, 15 წუთში, იმავე სკვერში დაბრუნდა. ამჯერად, სხვა ხანდაზმულ ქალს შეხვდა და იგივე სცენა გაითამაშა. პოლიციელმა სამსახურში დარეკა და მამაკაცი სკვერშივე დააკავეს. თავად კი იქ დაბრუნდა, სადაც დაზარალებული ელოდა. ბინაში უკვე დიდი ჩოჩქოლი იყო. მეზობელი დაქალს გამოუტყდა,ის კაცი მე ძალიან მომეწონა, მასაც მოვეწონე და შენ ნუღარ შეხვდები, ურთიერთობას მე გავაგრძელებო. ჰოდა, იქ ამბავი იყო, დედა შვილს არ აიყვანდა.

პოლიციელმა ქალების დამშვიდება სცადა, ის თქვენი „კავალერი“ თაღლითი აღმოჩნდა და ბევრს ნუ ინერვიულებთო. ნათქვამმა ქალები დაამშვიდა, მაგრამ სულ რამდენიმე წუთით. ცოტა ხანში, პროთეზდაკარგული ისევ აჩიფჩიფდა, მთელი ცხოვრება ვმეგობრობდით, ეს მაინც როგორ იკადრეო და... დაქალს თმაში სწვდა. პოლიციელი გაშველებას შეეცადა, გასაშველებლად დაზარალებულის შვილმაც გაიწია და ოთხივე იატაკზე გაგორდა. მოულოდნელად, რაღაცის მტვრევის ხმა გაისმა, სამართალდამცავს ეგონა, რომ რომელიმე მოხუცმა ძვალი გაიტეხა. ყველა გაყუჩდა, მაგრამ ტკივილისგან არავის უყვირია. პოლიციელი დიასახლისს მიაშტერდა, რადგან ყველაზე უხერხულად ის გამოიყურებოდა. მერე ქალი ფეხზე წამოდგა, მუხლები დაიფერთხა და... ჯიბიდან დამსხვრეული პროთეზი ამოიღო.

„თავიდან დედის სურვილს ღიმილით შევხდი. მერე კი, როცა მართლა შეხვედრა გადაწყვიტა და მზადება დაიწყო, დავფიქრდი და მივხვდი, რომ შესაძლებელი იყო, ეს საქმე ჩემთვის ცუდად შემობრუნებულიყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ბინა დედაჩემის სახელზეა და ხომ შეიძლებოდა, ამ სიბერეში გათხოვება მოსურვებოდა, მერე მემკვიდრე მისი ქმარიც გახდებოდა, იმას კიდევ შვილები და შვილიშვილები ჰყავდა. ამიტომ, გადავწყვიტე, შეხვედრისთვის ხელი ყველანაირად შემეშალა და რაც მომაფიქრდა, პროთეზის მოპარვა იყო. მან მაიძულა, თქვენთვის მომემართა და ჩემს შვილს ქურდობა იმიტომ დავაბრალე, ზუსტად ვიცოდი, ვერაფერს დაამტკიცებდით, მერე კი, პროთეზს შემთხვევით ისევ ვნახავდით სახლში და ეს ისტორიაც ყველას დაავიწყდებოდა, მაგრამ ხომ ხედავთ, სადამდე მივედით“, -განაცხადა ქალმა.

პოლიციელი ოჯახურ ამბებში აღარ ჩაერია, დაკავებული მამაკაცი კი, თაღლითობის ბრალდებით გაასამართლეს და მას კიდევ 11 ეპიზოდი დაუმტკიცეს, რაც ცოტა ნამდვილად არ იყო.

ბათო ჯაფარიძე

რაზე ფიქრობს ადამიანი, როცა სხვის ბინაში მოსაპარადაა შესული? პირველ რიგში, ძალიან ფრთხილობს და იმავდროულად, ძალიან ჩქარობს. ყველა, აბსოლუტურად ყველა ქურდი მშიშარაა ანუ მშიშარაა იმ კონკრეტულ მომენტში, როცა დანაშაულს სჩადის, ნებისმიერი ხმაურის ეშინია, რადგან ზუსტად იცის, რომ ერთი არასწორი მოქმედება, ან გაუთვალისწინებელი სტუმარი, ან შემთხვევითი მოწმე და ციხის კარი ძალიან ახლოსაა. ამის მიუხედავად, არის მომენტები, როცა...

ქალისგან უარყოფილი კაცის სისხლიანი შურისძიება

როგორ იპოვა ცხოვრების თანამგზავრი ბინის ქურდმა

სასწრაფო დახმარების სამორიგეოში ტელეფონის ზარი გაისმა. მამაკაცი აჩქარებით საუბრობდა, მისამართი დაასახელა, სადარბაზო, ბინის ნომერი და იქვე დააყოლა, ქალი უგონოდაა, კარის სახელური თავად ჩამოსწიეთ, მე მეჩქარებაო. სასწრაფო დახმარების ექიმები, დაახლოებით, 30 წამით ჩაფიქრდნენ – ეგებ, ვინმე ხუმრობსო, მაგრამ... უნდა გადაემოწმებინათ და დასახელებულ მისამართზე ნაჩქარევად გავიდნენ. ადგილზე მისულ მედიკოსებს ძალიან საინტერესო რამ დახვდათ – საძინებელში ახალგაზრდა ქალი უგონოდ იწვა, იქვე თავთან, წერილი და წამლების ცარიელი ფირფიტა იდო, წერილი გამოსათხოვარი გახლდათ, გოგონა – აშკარად წამლების ზემოქმედებით გათიშული, მაგრამ რაც მთავარია, სახლი ყირაზე იდგა. ექიმებმა გოგონას მოსულიერება დაიწყეს, მაშინვე წვეთოვანი შეუერთეს, კუჭიც იქვე ამოურეცხეს და მას სიცოცხლის ნიშნები დაეტყო. ამის შემდეგ, სამართალდამცავებს დაურეკეს, ვგონებთ, თქვენი საქმეაო. ადგილზე მისულმა ძალოვნებმა დაადასტურეს, რომ ბინა გაქურდული იყო, სახლიდან გატანილი გახლდათ ყველაფერი, მაგრამ ქურდი არსად ჩანდა. არადა, სასწრაფოში ხომ ვიღაცამ დარეკა? საქმე ბინის ქურდობაზე აღიძრა, ახალგაზრდა ქალი კი ფსიქოლოგებს გადააბარეს, რადგან ექსპერტიზამ მარტივად დაადასტურა, სუიციდის მცდელობის წინ დაწერილი წერილი და მის სახლში ნაპოვნი ქალის ხელნაწერები იდენტური იყო ანუ წერილი მან დაწერა, მერე წამლები დალია და რატომ აპირებდა თვითმკვლელობას, ეს ფსიქოლოგების საქმე იყო.

გამომძიებლებმა სახლში ტელეფონის ყურმილი შეამოწმეს და მასზე თითის ანაბეჭდები საგულდაგულოდ იყო წაშლილი. იმასაც ამბობდნენ, ეგებ, არ ღირს, ბინის ქურდის დაკავება, რადგან სწორედ მან გადაარჩინა გოგონაო, თუმცა იმას კი მიხვდნენ, ბინაში პროფესიონალი მუშაობდა იმიტომ, რომ კვალი არ ჰქონდა დატოვებული. ამასობაში, განყოფილებაში ფსიქოლოგმა დარეკა, რომელსაც გოგონას დამშვიდება ევალებოდა და ცოტა არ იყოს, დაეჭვებულმა განაცხადა, ამას დასახმარებელი არაფერი სჭირს, თავის მოკვლა არ უცდია, ვიღაც მის მოკვლას ცდილობდაო. ძალოვნებმა ერთმანეთს გადახედეს და საავადმყოფოში წავიდნენ.

„იმით დავიწყებ, რომ წერილი მანახეს და არ მჭირდება ექსპერტიზა, ჩემი ნაწერია. რაოდენ გასაოცარი უნდა იყოს, არ ვიცი, როდის დავწერე, მაგრამ ფურცელი ძველია, რაღაცნაირად არის დაჭრილი, თითქოს საიდანღაც ამოჭრილია. მე ბავშვობაში სპექტაკლებში ვმონაწილეობდი, როლებს ვერ ვიზეპირებდი, თუ რვეულში არ დავწერდი. მგონია, რომელიმე სპექტაკლიდან არის და ეს რვეული ვიღაცას ხელში ჩაუვარდა. ვინ შეიძლება იყოს, წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ ყველაფერი ეს, აშკარად კარგად გამოიყენა. სახლში სტუმარი არ მყოლია, აბები არ დამილევია, ჩემიც კი არ არის, მჯერა, არც ჩემი ანაბეჭდები იქნება ზედ და იცით, რა მინდა გთხოვოთ? ჩვენი სადარბაზოს წინ, მუდმივად ორი ქალბატონი ზის, ბებიები და ყველას ათვალიერებენ. მათ ზუსტად ეცოდინებათ, ვინ შემოვიდა იმ დროს ჩემთან სახლში და ისე ზუსტად აღწერენ, ფოტორობოტს თავად შეადგენთ. რაც შეეხება იმ კაცს, ვინც საავადმყოფოში დარეკა... ვიცი, რომ გამქურდეს, მინდა, ის კაცი იპოვოთ, ვინც ეს გააკეთა, რომ მადლობა გადავუხადო. მან სიცოცხლე შემინარჩუნა და არ მაინტერესებს, რომ საკმაოდ სოლიდური თანხა წაიღო, მე მსურს, ციხეში არ ჩასვათ და მინდა, მას ვიცნობდე“, – განაცხადა ქალმა.

სამართალდამცავებმა ისიც გაარკვიეს, რომ ქალს სტუმარი არ ჰყავდა ანუ სხვის მიერ მიწოდებული საკვები არ მიუღია. ის ყოველ დილით დარბოდა, იმ დღესაც ჩვეულებრივად გავიდა სკვერში, ჩანთა სკამზე დადო, სკვერს წრე დაარტყა, მერე წყალი მოსვა, მერე მეორე წრე დაარტყა და თავი შეუძლოდ იგრძნო, ამიტომ სახლში წავიდა, ოთახში შევიდა, ზუსტად ახსოვდა, რომ კარი ჩაკეტა, რადგან კარი მიხურვისთანავე, ავტომატურად იკეტებოდა და კარის მიხურვა ახსოვდა, მერე ის ახსოვდა, რომ საძინებელში შევიდა და... საავადმყოფოში გაიღვიძა. ძალოვნებმა ექსპერტიზაზე წყლის ბოთლი წაიღეს, მაგრამ გოგონამ უთხრა, აზრი არ აქვს, წყალს ყოველთვის ახალს ვყიდულობ, გაუხსნელს და ზუსტად მახსოვს, წრე რომ დავარტყი, ბოთლი ჩემი ხელით გავხსენი, მეორე წრეზე უკვე ცუდად ვიყავი და მართალია, გზაში წყალი კიდევ მოვსვი, მაგრამ ახალი ბოთლიდან წამალს ვერ მივიღებდიო. ამის მიუხედავად, გამოძიება ექსპერტიზის პასუხს ელოდა.

„ბოთლს სახურავზე აქვს ნემსით გაკეთებული მცირე ზომის ნახვრეტი, საიდანაც სავარაუდოდ, რამდენიმე გრამი ძლიერმოქმედი დასაძინებელი შეუშვეს, ხოლო მას შემდეგ, რაც გოგონას დაეძინა, წყალი კიდევ დაალევინეს. ვადასტურებთ, რომ ექიმებმა მას ბეწვზე მიუსწრეს და სასწაულით გადაარჩინეს“, – დაახლოებით, ასეთი იყო ექსპერტიზის დასკვნა.

მოხუცი ქალების დაკითხვამ ძალიან საინტერესო შედეგი გამოიღო. ისინი ამტკიცებდნენ, როცა გოგონა სახლში დაბრუნდა, სადარბაზოში ჯერ, დაახლოებით, ჩვენი ასაკის ქალი შევიდა და 15 წუთში უკან გამობრუნდა, მერე კი, ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც უკან, დაახლოებით, ნახევარ საათში გამოტრიალდა და ცოტა შეშინებული და აჩქარებული ნაბიჯით გავიდა ეზოდანო. ისინი ამტკიცებდნენ, მეტი არავინ გვინახავს და შეგვიძლია დავიფიცოთ, რომ ჩვენს თვალს ვერავინ გამოეპარებოდაო. პენსიონერებმა ახალგაზრდა კაცი დაახასიათეს, თუმცა რამე განსაკუთრებული ნიშანი ვერ თქვეს, სწრაფად შევიდა და უფრო სწრაფად წავიდაო. გამოძიების ვერსიით, ბინის ქურდი სწორედ ეს ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ.. ვინ მოწამლა ქალი და ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ? სისულელე იყო იმაზე ფიქრი, რომ ბინის ქურდმა გააკეთა ყველაფერი, მერე გადაიფიქრა და მისი გადარჩენა გადაწყვიტა. ამასობაში, შავ ბაზარზე, გოგონას ბინიდან წაღებული ყელსაბამი გამოჩნდა და ნაქურდალის მყიდველმა ძალოვნებს დაურეკა. როგორც წესი, თუ საქმე მკვლელობას ან მკვლელობის მცდელობას ეხებოდა, ნაქურდალის გამსაღებლები ფრთხილობდნენ. ბინის ქურდი მალე დააკავეს.

„მივხვდი, ჩაშვებული ვარ და დამალვას აზრი არ აქვს. იმ გოგოს დიდხანს ვაკვირდებოდი, ყოველ დღე სკვერში დარბოდა, ამიტომ დრო საკმარისზე მეტი მქონდა. იმ დღესაც, რომ წავიდა, ცოტა ხანს ვადროვე, მერე მაღაზიაში გავედი სიგარეტის საყიდლად, დავბრუნდი და ბინაში შევედი. ბინა მარტივად გავასუფთავე და როცა საძინებელში გადავინაცვლე, დავინახე, რომ ის ლოგინზე ეგდო. ჯერ შემეშინდა, მერე გამიკვირდა, მერე წერილიც დავინახე და წავიკითხე. პულსი გავუსინჯე, სუნთქავდა, შემეცოდა და დავრეკე, მე კი წავედი“, – თქვა დაკავებულმა და გაოცდა, როცა უთხრეს, ადვოკატმა მოგაკითხაო.

მალე გაირკვა, რომ ადვოკატი გოგონამ დაიქირავა და ბიჭმაც ჩვენება მეორე დღესვე შეცვალა, ის ყელსაბამი გოგონამ მაჩუქა, არავინ გამიქურდავს, ბინაში კი ვიყავი, მაგრამ შემეშინდა და გავიქეცი. ცხადი იყო, გოგო თავისი გადამრჩენელის ციხიდან დახსნას ცდილობდა. რაც მთავარია, გოგონამ გაიხსენა პიესა, რომელიც სკოლაში დადგეს და საიდანაც ის ფრაზა იყო ამოგლეჯილი. ისიც გაიხსენა, რომ მასზე თანაკლასელი იყო უიმედოდ შეყვარებული, რომელიც მერე სადღაც დაიკარგა და მხოლოდ ახლა, შემთხვევით იპოვა.

„ცოტა უცნაური კლასელი მყავს. მთელი ცხოვრება მიმტკიცებდა, შენს გარდა, ცოლად არავის მოვიყვანო. წლები ისე გავიდა, აღარ მინახავს და არც მახსოვდა. თეატრში ხშირად დავდივარ და ამას წინათ რომ ვიყავი, ვნახე, სცენაზე იდგა. მსახიობობა დაუწყია, გამიხარდა, სპექტაკლის შემდეგ, საგრიმიოროში მივაკითხე, მივულოცე წარმატება. ერთადერთი კითხვა დამისვა, გათხოვილი ხარო? არა-მეთქი და ზუსტად ერთ კვირაში, სამსახურში დამადგა, ცოლს დავშორდი და შენ უნდა მოგიყვანოო. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი და დამემუქრა, არ გაპატიებო. არ ვიცი, შეიძლება, სწორედ მან გადაწყვიტა ჩემი მოწამვლა“, – განაცხადა ქალმა.

ძალოვნებმა მსახიობი დააკავეს და გზაშივე მიხვდნენ, რომ დამნაშავე ის იყო, რადგან მთელი გზა იმეორებდა, მაინც გადარჩა ის ძუკნაო.

„ჰო, მთელი ცხოვრება მიყვარდა, მისთვის ყველაფერს ვაკეთებდი, ის კი მთელი ცხოვრება მამასხარავებდა. ახლაც, როცა შევხვდი, ღიმილით მითხრა, ცოლს თუ დაშორდები, მე წამოგყვებიო. სერიოზულად მივიღე, დავშორდი, ორსულ ცოლს დავშორდი და... მერე დამცინა, მართლა დაიჯერეო? მისი გრაფიკი შევისწავლე, ჩანთას სკვერში სკამზე ტოვებდა და წყალში დასაძინებელი მარტივად შევურიე. მისი ყველაფერი დღემდე შენახული მქონდა, მათ შორის, რვეულებიც, რომელსაც თავად ყრიდა ხოლმე და იქიდან ამოვჭერი საჭირო ფრაზა. მერე მოხუცი ქალის ფორმა ჩავიცვი, სახლის გასაღების ასლიც მქონდა და როცა შინ დაბრუნდა, უკვე ნახევრად გათიშულს, კიდევ მივეცი დამატებითი დოზა. უნდა მომკვდარიყო, მაგრამ, ალბათ, რაღაც მოხდა, ალბათ, სხეულმა გაუძლო. ვნანობ? – არა, არ ვნანობ“, – განაცხადა დაკავებულმა.

მკვლელობის მცდლობისთვის სასამართლომ მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ბინის ქურდს კი... ბინის ქურდს პირობითი აკმარეს, რადგან მომჩივანი არ ჰყავდა და როგორც გამომძიებელი ამბობს, მან სწორედ იმ გოგონაზე იქორწინა, რომლის სახლიც გაქურდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, თბილისში, ბოჭორმის ქუჩა N12-ში, მაღაზია „ბეთლგრაუნდის“ სასროლეთში მომხდარ აფეთქებაზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილით დაიწყეს, რაც ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

შემთხვევის ადგილზე მუშაობას აგრძელებენ ექსპერტ-კრიმინალისტები, გამნაღმველები და სხვა, შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები.

ასევე, ადგილზე მუშაობენ სხვადასხვა დარგის ექსპერტები, მათ შორის, სახანძრო და ფეთქებადსაშიში საგნების კვლევის სამსახურის ექსპერტები და მათთან ერთად, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ენერგეტიკის მიმართულების ინჟინერ-ექსპერტი.

აფეთქების მიზეზების დასადგენად გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები.

ბოჭორმის ქუჩა N12-ში, მაღაზია „ბეთლგრაუნდის“ სასროლეთში მომხდარ აფეთქებაზე, შეტყობინების მიღებისთანავე, შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ მეხანძრე-მაშველები, საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები.

მეხანძრე-მაშველებმა შემთხვევის ადგილიდან ორი გარდაცვლილი და ოთხი დაშავებული გამოიყვანეს, რომელთაგან ერთი – კლინიკაში გარდაიცვალა.

გარდაცვლილთაგან ერთი, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია. დაშავებული პირებიდან ორი მათგანი – შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო ერთი – მაღაზია „ბეთლგრაუნდის“ თანამშრომელია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და უსამძიმრებს გარდაცვლილთა ოჯახებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე, 2001 წელს დაბადებული ბ.კ. დააკავეს.

დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. კომპლექსურად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულმა ბ.კ.-მ პერსონალური მონაცემების დაუფლების მიზნით, სს „სილქნეტის“ კომპიუტერულ სისტემაზე კიბერშეტევა განახორციელა. ბრალდებული, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის გზით დაეუფლა აღნიშნული კომპანიის 5000-მდე მომხმარებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ციფრულ ასლს და არალეგალური გზით ცდილობდა მათ ინტერნეტ-სივრცეში რეალიზაციას. კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 14 პირი დააკავა, მათ შორის, შვიდი ნარკორეალიზატორია



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის, ქვემო ქართლის, აჭარის, იმერეთისა და გურიის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 14 პირი დააკავეს, მათ შორის, შვიდი ნარკორეალიზატორია.

დაკავებულებს შორის არიან, როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია სხვადასხვა სახის დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები. ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განხორციელდა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის, გასაღების, გასაღების მომზადებისა და გასაღების მცდელობის, ასევე, ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვის, გასაღებისა და გასაღების მომზადების ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1986 წელს დაბადებული ს.მ., 2006 წელს დაბადებული გ.ხ., 1993 წელს დაბადებული თ.ხ., 1986 წელს დაბადებული ზ.შ. და წარსულში ნასამართლევი პირები: 1999 წელს დაბადებული დ.ე., 1979 წელს დაბადებული მ.მ., 1967 წელს დაბადებული დ.ლ., 1982 წელს დაბადებული დ.ჟ., 1970 წელს დაბადებული პ.ჯ. ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 2003 წელს დაბადებული ბ.შ., 2002 წელს დაბადებული დ.ხ. და 1985 წელს დაბადებული მ.ე., 1966 წელს დაბადებული ს.თ. და 2003 წელს დაბადებული კ.პ.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების არაერთგზის უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე, ასევე, დიდი ოდენობით „მარიხუანას“ უკანონო შეძენა – შენახვისა და გასაღების ფაქტზე დაკავებულია დ.ე., ამოღებულია მის მიერ უკანონოდ გასაღებული ნარკოტიკული საშუალება – „მარიხუანა“, „მდმა“ და „ჰაშიში“.

ამავე დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო შეძენა, შენახვისა და გასაღების ფაქტზე დაკავებული ს.მ.-სგან და მ.მ.-სგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვის ფარული აუდიო-ვიდეო გადაღება. ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას კი სამართალდამცველების მიერ, ნივთმტკიცებად – „მარიხუანა“ და ელექტრო-სასწორია ამოღებული.

ასევე, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დაკავებულები არიან დ.ჟ. და თ.ხ. გამოძიებით დადგინდა, რომ თ.ხ.-მ, რეალიზაციის მიზნით, შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“, ხოლო დ.ჟ.-ს პირადი და კუთვნილი ავტომობილის ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უცხო ქვეყნის სამი მოქალაქე – ბ.შ., დ.ხ. და მ.ე. დააკავეს. ბრალდებულების პირადი, საცხოვრებელი ბინისა და ავტომანქანის ჩხრეკისას, ასევე, მათ მიერ მითითებული სხვადასხვა ლოკაციიდან, სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალებები – 62 შეკვრა „მარიხუანა“, 65 შეკვრა „ალფა პვპ“ და მცირე ზომის ელექტრო-სასწორი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქე კ.პ.-სთან განხორციელებული საკონტროლო შესყიდვების, ასევე, პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოიღეს „მარიხუანა“.

მთავარი სამმართველოს ამავე თანამშრომლებმა, ბრალდებული გ.ხ.-ს მიერ მითითებული სხვადასხვა ლოკაციიდან სარეალიზაციოდ განთავსებული ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ზ.შ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ნარკორეალიზაციის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა ზ.შ.-სგან მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სხვადასხვა დროს, განახორციელეს ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვის ფარული აუდიო-ვიდეო გადაღება.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, უცხო ქვეყნის მოქალაქის ს.თ.-ს პირადი და დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, პ.ჯ.-სთან განახორციელეს საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვის ფარული აუდიო-ვიდეო გადაღება. ნივთმტკიცებად ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ბრალდებულ დ.ლ.-ს ავტომანქანისა და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ნარკოტიკული საშუალებები – „მეტადონი“, „სუბოტექსი“ და „მარიხუანა» ამოიღეს. ასევე, ნივთმტკიცებად ამოღებულია პისტოლეტი, მჭიდი და 3 ვაზნა.

ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 18-260-ე, 19-260-ე, 273-ე პრიმა, 18-273-ე პრიმა და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

კვარაცხელია საგოლე გადაცემით და... „ბარსელონათი“ დაბრუნდა

ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლიმ“, სამმატჩიანი მოუგებელი სერია დაასრულა და გასვლაზე „მონცას“ 4:2 სძლია. საქართველოს ნაკრებში ტრავმით გამოწვეული პაუზის შემდეგ, ქართველი შემტევი მოედანს დაუბრუნდა, წესისამებრ, მწვრთნელმა ის ძირითადში დაყენა და 68-ე წუთამდე ათამაშა. ნამატჩევს, კალცონამ განაცხადა, კვარას ტრავმა ახალი მოშუშებული აქვს, ამიტომ გავუფრთხილდი და შევცვალეო. უშუალოდ შეხვედრას რაც შეეხება, ჩვენებური ერთ-ერთი გამორჩეული იყო, მეტიც, წაგებულ პირველ ტაიმში, მეტოქის მეკარე მხოლოდ მან შეაწუხა, მეორე ნახევარში საგოლე გადაცემაც მიითვალა და ერთ-ერთი საუკეთესო შეფასებაც მიიღო, თუმცა ქომაგი კვარაცხელიას და კლუბის ხელმძღვანელობას ეჭვის თვალით უყურებს. რატომ? ესპანური მედია ამტკიცებს, „კვარადონა“ ახალ სეზონს დიდი დიეგოს კიდევ ერთ კლუბში, კატალონიურ „ბარსელონაში“ დაიწყებს და შეთანხმება უკვე მიღწეულიაო.

„კატალონიურ კლუბს აუცილებლად სჭირდება ერთი ხმაურიანი ტრანსფერი. ხუან ლაპორტას გადაწყვეტილი აქვს, ხვიჩა კვარაცხელია შეიძინოს და მზად არის, მის სანაცვლოდ, 130 მილიონი ევრო გადაიხადოს ანუ ზუსტად იმდენი, რამდენსაც „ჩელსი“ ვიქტორ ოსიმენში უხდის ნეაპოლელებს. „ბარსას“ წარმომადგენლები აურელიო დე ლაურნეტისს უკვე შეხვდნენ და არაოფიციალურ დონეზე შეთანხმებასაც მიაღწიეს“, – წერს ესპანური მედია.

იტალიელებმა კი გამოითვალეს, რომ გუნდში, მოედანზე გატარებული წუთების დაჯამების მიხედვით, ყველაზე დაბალი ხელფასი კვარაცხელიას აქვს, რაც დიდი უსამართლობაა და დე ლაურენტისი მისთვის პირობების გაუმჯობესებას არ ჩქარობს. ამიტომ, ლოგიკურია, რომ ხვიჩამ გუნდიდან წასვლაზე იფიქროს, მაგრამ...

„არსებობს იმის ალბათობა, რომ სეზონის ბოლოს, „რეალი“ ვინიციუს ჯუნიორს შეელიოს, რადგან ფეხბურთელი მუდმივად კონფლიქტებში ეხვევა, მიღებული 7 ყვითელი ბარათიდან, 6 – მსაჯთან კამათის გამო აქვს და მუდმივად აპელირებს, რომ მას სტადიონის ყველა ტრიბუნიდან რასისტული შეძახილები ესმის. მეტიც, მან „ბილბაოსთან“ შეხვედრაში მონაწილეობაზე უარი თქვა, აქაოდა, რასისტულ შეძახილებს ველოდები და ვერ ავიტანო (არადა, მატჩი მადრიდში, „რეალის“ სტადიონზე ჩატარდა). ჰოდა, თუ „სამეფო გუნდი“ ვინიციუსს გაყიდის, მის პოზიციაზე უპირველესი კანდიდატი კვარაცხელია იქნება“, – ამასაც ესპანური მედია წერს.

შანსი არის – მამარდა სეზონის საუკეთესო მეკარის ტიტულს უმიზნებს

ყოველი სეზონის ბოლოს, ყველაზე პოპულარული ესპანური გამოცემა „მაარკა“, საუკეთესო მეკარეს რიკარდო ზამორას სახელობის პრიზს გადასცემს და ამ ჯილდოს მიღება ძალიან პრესტიჟულად ითვლება. პრიზის მიღებაუმარტივესია – ჩატარებული მატჩებისა და გოლების თანაფარდობა გამარჯვებულს საუკეთესო უნდა ჰქონდეს, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, კიპერმა ყველაზე ცოტა გოლი უნდა გაუშვას.

დღეის მდგომარეობა ასეთია – პრიმერადივიზიონში მოთამაშე 20 კლუბიდან, ყველაზე ნაკლები გოლი „ბილბაოს“ კიპერს, უნაი სიმონს აქვს გაშვებული (29 მატჩი, 26 გოლი), მეორე ადგილზე – „სოსიედადის მეკარე ალექს რემიროა (28 მატჩი, 28 გოლი), მესამეზე – გიორგი მამარდაშვილი (30 მაატჩი, 32 გოლი).

ესპანური მედია წერს, მამარდაშვილს ისეთივე დაცვის ხაზი რომ ჰყავდეს, როგორიც „ბილბაოს“ და „სოსიედადს“ აქვთ, პრიზი აქამდე მოგებული ექნებოდა, რადგან გაშვებული გოლების 80%-ზე მეტი, დაცვის და არა მისი ბრალიაო. ასეა თუ ისე, სერიოზული ეჭვი გვაქვს, გიო „ვალენსიაში“ ბოლო სეზონს ატარებს და ახალი სეზონიდან, კარიერას ტოპ-კლუბში გააგრძელებს.

მიქაუტაძის დუბლმა „მეცს“ ვერ უშველა

გიორგი მიქაუტაძის „მეცი“ კვლავ გასავარდნ ზონაშია. საფრანგეთის ჩემპიონატის დასრულებამდე 6 ტურია დარჩენილი, „მეცი“ კი, ბოლოდან მეორე ადგილზეა და უსაფრთხო ზონას 6 ქულა აშორებს, რაც ძალიან ბევრია, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ გუნდმა ბოლო სამი შეხვედრა წააგო.

გასულ ტურში, „მეცი“ „ბრესტს“ ესტუმრა და დაძაბულ ბრძოლაში 3:4 დამარცხდა. სამი გოლიდან, ორი გიორგი მიქაუტაძის ანგარიშზეა და ქართველი შემტევი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს, მაგრამ ლასლო ბოლონის გუნდისთვის, ეს ვერაფერი ნუგეშია.

„როცა სამი გოლი გაგაქვს, უბრალოდ, არ უნდა დამარცხდე, მაგრამ ჩვენ მოვახერხეთ და წავაგეთ. მიქაუტაძეზე რა უნდა ვთქვა, ორი გაიტანა, გატანის შანსი კიდევ ჰქონდა, მაგრამ ერთი ფეხბურთელი თამაშს უბრალოდ ვერ მოიგებს. დარჩენილ ტურებში მაქსიმალური კონცენტრაცია გვმართებს და უძლიერესთა შორის დარჩენა თუ გვინდა, ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ. ეს ურთულესი იქნება, მაგრამ – არა შეუძლებელი“, – განაცხადა ბოლონიმ.

ახალგაზრდა „ბორჯღალოსნებმა“ იტალიაში 6 ერი დაგვანახეს

მოგეხსენებათ, წლებია, საქართველოს მორაბეთა ნაკრები ამაოდ ცდილობს დაამტკიცოს, რომ 6 ერზე ასპარეზობას იმსახურებს. ევროპის რაგბის კავშირი ამტკიცებს, რომ ქართველები ამისთვის მზად არ არიან და აგერ, შანსი 18-წლამდელებს მისცეს. იტალიაში გამართულ „6 ერის ფესტივალზე“, საქართველოს ნაკრების მეტოქეები საფრანგეთი, შოტლანდია და ინგლისი იყვნენ. სპეციალისტების აზრით, სამივე ნაკრებთან, უმცროსი „ბორჯღალოსნები“ უშანსოდ დამარცხდებოდნენ, მაგრამ ქართველებმა ფრანგებს მოუგეს, შოტლანდიას და ინგლისს კი ტოლ-სწორად ეთამაშნენ და დასანანი მარცხი იწვნიეს.

„ის, რაც ქართველებმა გააკეთეს, სასწაული იყო და არავინ ელოდა. 18-წლამდელთა თაობამ დაგვანახა, რომ ისინი 6 ერისთვის მზად არიან და 2-3 წელიწადში, ამ ბიჭებს, დიდ ნაკრებში დაუძახებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მარტივად შეძლებენ, 6 ერის ყველა წარმომადგენელს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიონ. ამიტომ, დროა, ევროპული რაგბის კავშირი დაფიქრდეს და საქართველო 6 ერში მიიღოს“, – წერს ევროპული მედია და თუ ასე მოხდება, ეს ქართული რაგბისთვის უდიდესი წინსვლა იქნება, ისეთი, როგორიც აქამდე, პრაქტიკულად, არ გვქონია.

თოფურია მესის შეხვდა

MMA-ს ქართველი ჩემპიონი, ილია თოფურია ამერიკაში იმყოფება. ის შტატებში ყველაზე პოპულარული კლუბის, „ინტერ მაიამის“ ბაზას ეწვია და ამ გუნდის ლეგენდებს – ლიონელ მესის, ხორდი ალბას, ლუის სუარესს და სერხიო ბუსკეტს შეხვდა. მოგეხსენებათ, აღნიშნული კლუბის მფლობელი დევიდ ბექჰემია, ხოლო კარიერის დასრულების შემდეგ, აქციების 10%-ს ლიონელ მესიც მიიღებს.

„მესისთან შეხვედრა ოცნება იყო. ეს ადამიანი ლეგენდაა და ჩემთვის მისაბაძი მაგალითია“, – დაწერა ქართველმა მებრძოლმა სოციალურ ქსელში.

„ფენერბაჰჩეს“ ბოიკოტი – ასეთი რამ არასოდეს მომხდარა

ის, რაც თურქეთის სუპერთასის შეხვედრაში მოხდა, არა მარტო თურქულ, არამედ, ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს. სუპერთასს ერთმანეთს „გალათასარაი“ და „ფენერბაჰჩე“ ეცილებოდნენ. ორივე გუნდი საუცხოო ფორმაშია და შიდა ჩემპიონატის დასრულებამდე 7 ტურით ადრე, მათ პირველ-მეორე ადგილები განაღდებული აქვთ, რადგან მესამეზე მყოფ „ტრაბზონს“ 30 ქულით უსწრებენ. დღეის მდგომარეობით, პირველზე „გალაა“ 84 ქულით, ხოლო „ფენერს“ 2 ქულით ნაკლები აქვს.

მოკლედ, „ფენერბაჰჩემ“ ფეხბურთის ფედერაციას ორი მოთხოვნა წაუყენა – ან შეხვედრა გადაიტანეთ და ცოტა დაგვასვენეთ, ან კეთილი ინებეთ და, უცხოელი მსაჯი მოიწვიეთ, რადგან ადგილობრივს არ ვენდობითო. ფედერაციამ არცერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მატჩი მაინც ჩანიშნა. მოედანზე „გალათასარაი“ საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდა, „ფენერბაჰჩემ“ კი 19-წლამდელთა გუნდი გამოიყვანა და... ერთ წუთში, ყველა ფეხბურთელი, პროტესტის ნიშნად მინდვრიდან გავიდა და კლუბმა შეხვედრის გაგრძელებაზე უარი თქვა. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, იმ ერთ წუთში, „გალათასარაის“ ფეხბურთელებმა გოლის გატანა მოასწრეს და დაწინაურდნენ. ფედერაციას ბევრი არ უფიქრია, ბოიკოტის მიუხედავად, ერთწუთიანი ანგარიში მატჩის საბოლოო შედეგად გამოაცხადა და სუპერთასი „გალათასარაის“ გადასცა. ფეხბურთელები და გულშემატკივრები გამარჯვებას მთელი ღამის განმავლობაში ამაყად აღნიშნავდნენ.

ბაქოში ჩამიზო გაძარცვეს

აზერბაიჯანის დედაქალაქში გამართულ მოჭიდავეთა ტურნირზე, პარიზის ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდა. ვყელაზე დიდი გამოხმაურება იტალიელი ფრენკ ჩამიზოსა და მასპინძელი თურან ბაირამოვის შეხვედრას მოჰყვა. ჩამიზო აშკარა ფავორიტის სტატუსით იყო ჩასული ბაქოში და ყველა დარწმუნებული გახლდათ, რომ ლიცენზიას მარტივად მოიპოვებდა, მაგრამ არავის ეგონა, თუ გზად ბაირამოვი და მსაჯები გადაეღობებოდნენ.

შეხვედრის დასრულებამდე 50 წამით ადრე, ჩამიზო 2 ქულას აგებდა და დარჩენილ წამებში მეტოქეს რვა ქულა აუღო, თუმცა... მსაჯებმა იმსჯელეს, ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ მას არც არაფერი აუღია და ეს მაშინ, როცა აღებული 8 ქულიდან, 4 სუფთა გდებისთვის ანუ ბეჭებზე გაკვრისთვის იყო მიცემული და ეს დაინახა ყველამ.

მასაჯების გადაწყვეტილების შემდეგ, ბაირამოვმა აღნიშვნა დაიწყო, სიხარულით ხტოდა და ადგილობრივ პუბლიკას ანუ ბაქოს დარბაზში შეკრებულ თანამემამულეებს მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა, თუმცა... აზერბაიჯანელმა გულშემატკივარმა, უსამართლოდ გამარჯვებული თანამემამულის ზეიმში მონაწილეობა არ ისურვა და სტვენა ატეხა. ისინი სიმართლისკენ იყვნენ და ამის გამო მხოლოდ ქება ეკუთვნით.

მთის წყარო

არაფერი ცოდვა არ მიქნია ჩემს სიცოცხლეში. ვერცერთი სულიერი, ვერც უსულო ჩემს ცოდვას, ჩემს სიავეს ვერ იტყვის.

ღმერთს ესე დაუწესებივარ: უნდა ავიდინო, ვიდინო; ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი.

გახურებულს ზაფხულის დღეში რამდენი ნადირი მოდის, სვამს ჩემს წყალსა, რამდენი დაღალულ-დაქანცული მუშა მოვა, მოიტანს ცელს, ნამგალს გასალესად. კაცნი მსმენ და ათასში ერთი თუ იტყვის:

„დაილოცე, ცივო მთის წყაროვ, რომელი ღვინო შეგედრებაო?!“

უმრავლესობა ზედ მაფურთხებს. რა ვქნა, მე ვერავის მივაფურთხებ.

დეე, ისევ მე მაფურთხონ!

რა ბედნიერადა ვგრძნობ ჩემს თავსა, ღმერთო!

რა კარგი მეგობრები მყვანან გვერდსა!

აი, ჯერ ეს ლოდები, სქლად მწვანე ხავსი რომ გადაჰკვრია; აი, კიდევ ჩემს თავზედ პირყვითელი კლდე რომ დაყუდებულა და დამცქერის, მეხურება თავზედ მუზარადივით.

ეს დევებივით ქორაფები როგორ აწვდილან ზეცად და მზის სხივსაც არ უშვებენ ჩემამდის!

სქელი, გველებივით დაკლაკნილი ფესვები ჩემს უბე-კალთაში ჩაუწყვიათ. ორისა თუ სამის ვერსის სიგრძეზე ვარ მხოლოდ ბედნიერი და უცოდველი, მერე დამლევს, ჩამნთქავს უზარმაზარი მდინარე, დაიკარგება ჩემი სახელი, ჩემი ვინაობა.

როგორც უნდა, ისე მათამაშებს. თითონ ხომ ღრიალებს, ბორგავს, აწყდება აქეთ-იქით, ანგრევს დედამიწას, გლეჯავს ხეებსა და მიათრევს, მეც იმასვე ჩამადენინებს. მაგრამ მაშინ მე ის აღარა ვარ, რაც ეხლა, ამ წამში, როდესაც პირველად კლდიდამ ვიბადები.

ოჰ, ამ მდინარისაგან გული მაქვს გახეთქილი! რამდენჯერ აქ მესმის ხოლმე ხალხის ჟივილ-ხივილი:

„დაახრჩო წყალმა კაცი, უშველეთ, ღმერთი არავისა გწამსთო!“

ცოტა არ არის, მეც ბრალი მედება. ვაჰ, ჩემო თავო! ნეტავი დამბადებელს ესე არ დავეწესებინე და სულ დაუსრულებლად მედინა, მერწყო მცენარენი, დედამიწის ლამაზი გული, მომეკლა კაცთა და ცხოველთათვის წყურვილი!

რა ბედნიერად ვგრძნობ ხოლმე ჩემს თავს, როცა მე ჩავუვლი გასახმობად დამზადებულ ბუერასა და იგი თავს დამიკრავს, სალამს მაძლევს, თან თავისის ფოთლებისას კაბას მიკერავს.

მერე რომ ჩადუნიანში ჩავრაკრაკდები და ისინიც გარს შემომერტყმიან და ტრფიალით მომძახიან:

„გაუმარჯოს მთის წყაროს, გაუმარჯოსო!“

ახლა ზვავისაგან წამოთელილს თხილებსა და ურძნებს დავულბობ დამჭკნარს ფესვებსა და მაღლა ავახედინებ...

ოჰ, ღმერთო, ჩემს ამაგს რად აფუჭებინებ იმ ტიალს, აბეზარს, დაუდეგარს, მოუსვენარს მდინარეს!

წუხელის რა ცუდი სიზმარი ვნახე!..

ღმერთო, დამბადებელო, ჩვენო პატრონო, ჩვენო შემნახველო, კარგად ამიხდინე!..

ვნახე, ვითომ ვიღუპებოდი.

გვალვა, დიდი გვალვა დამდგარიყო; ბალახნი, ხენი, ჩემნი მშობელნი, დამჭკნარიყვნენ, მეც დავმშრალიყავი თითქმის.

ღაბუა, ლამაზი „წიფლისჩიტა“ ჩამოფრინდა ვერხვის ტოტიდამ და უნდოდა ჩემს გუბეში ბანაობა, მაგრამ ვეღარ დაისველა მხრები და დაიწყო ტირილი. ვხედავდი ამას და გული მიკვდებოდა:

„სად წახველ, ჩემო მადლო-მეთქი“, – ვდუდუნებდი.

დამჭკნარი დიყვი, შუპყა, შამბი, არყი, ცაცხვი და ურძანი, – ყველანი ერთად შფოთავდნენ:

– „მივაშველოთ წყაროს წყალი, არ დაგვიშრესო!“

მაწვდიდნენ ფოთლებიდამ, ტოტებიდამ, ფესვებიდამ თითო-ოროლა ნამობით, მაგრამ ვეღარასა მშველიდნენ. თანაც ვითომ მიწამ პირი მიყო და დაუსრულებელს უფსკრულში უნდა დავღუპულიყავ.

შემეშინდა და გამომეღვიძა.

გული მიკანკალებდა, შუბლზე ოფლი დამსხმოდა. ავიხედე, ნისლებით გაჭედილიყო ხევ-ხუვი.

ქორაფმა ტოტები დამკრა, აკვანი დამირწია და დამდუდუნა:

„ნუ გეშინიან, პატარავ, არ დაშრები, არ დაიკარგებიო!“

ამ დროს, დღისით ფრთხილი და წინდახედული, ზურგზე რქებგადაყრილი, „ყელყურლამაზიანი“ ირემი მოვიდა გაჩქარებით, დაეწაფა ჩემს წმინდა წყალს, დალია და გაძღა.

მაშინ გულდამშვიდებულმა ვსთქვი:

– „არა ვარ გამშრალი, არაო!“

ვაჟა ფშაველა



ნაყინის დღე ევროპაში

ცოტა ხნის წინ ევროკავშირის ქვეყნებმა ნაყინის ევროპული დღე აღნიშნეს. „წლის გემოდ“, ამჯერად, ბელგიური ცივი დესერტი – Gaufre de Liège აღიარეს. ამ დღესასწულის აღნიშვნა 2009 წელს ოფიციალურად დაამტკიცა ევროპარლამენტმა. მისი მიზანი ნაყინისა და ევროპის გასტრონომიული ტრადიციების პოპულარიზაციაა. ფესტივალი იმ ნაყინს ეძღვნება, რომელსაც ხელით ამზადებენ. წლევანდელი „წლის გემოდ“ აღიარებული ბელგიური დესერტი გამოირჩევა ნეიტრალური ბაზით, ვანილისა და დარიჩინის არომატით, მორთულია გახეხილი მარილიანი კარაქითა და ხრაშუნა ვაფლებით. ევროპული ნაყინის დღის ფარგლებში, Gaufre de Liège -ის მირთმევა ყველა კაფეში იყო შესაძლებელი.

საგრადა ფამილია ორ წელში დასრულდება

ბარსელონას სიმბოლოდ ქცეული ანტონიო გაუდის ქმნილება – საგრადა ფამილია, რომელიც 140 წელზე მეტი ხანია შენდება, 2026 წელს დასრულდება. ამ ეტაპზე, ტაძრის მეექვსე, ცენტრალური კოშკის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელსაც ორ წელიწადში დაასრულებენ. ამის შემდეგ, ტაძარი დასრულებულ პროექტად ჩაითვლება. საგრადას კოშკი, რომლის მშენებლობაც დღემდე გრძელდება, იესო ქრისტეს გამოხატავს. ის 172.5 მეტრი სიმაღლის იქნება და 17-მეტრიანი ჯვრის დადგმით დასრულდება. მშენებლობის დასრულების შემდეგ, საგრადა ფამილია მსოფლიოში უმაღლესი ტაძრის სტატუსს მოიპოვებს. კატალონიელი არქიტექტორი გაუდი ტაძარს 1882 წლიდან, 40 წლის განმავლობაში აშენებდა. მისი გარდაცვალებისას, პროექტის მეოთხედიც კი არ იყო დასრულებული. 1984 წელს, იუნესკო-მ საგრადა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიყვანა, 2010 წლიდან, პაპ ბენედიქტე XVI გადაწყვეტილებით, ტაძარში საეკლესიო მსახურებაც მიმდინარეობს.

კორეელები ქვებს „იშინაურებენ“

გასული საუკუნის 70-იან წლებში, აშშ-ში, „შინაური“ ქვები პოპულარული სახუმარო საჩუქარი იყო. ამჯერად, ეს ტენდენცია ბრუნდება, თუმცა უკვე აზიაში, სადაც ქვებს ჩუქნიან და თავადაც იძებენ სერიოზული განზრახვით. ის მარტოობასთან გამკლავების ერთ-ერთი მეთოდი ხდება. 33 წლის ქალბატონი კუ ა-იონი აცხადებს, რომ სამსახურში შექმნილ სირთულეებზე ვერავის უყვებოდა. არ სურდა, ამის გამო, მეგობრებისა და ოჯახის წევრების შეწუხება. ვერც ოთხფეხა მეგობრის აყვანა გადაწყვიტა, მაღალი პასუხისმგებლოს გამო, ამიტომ მან ქვა „მოიშინაურა“ და მას უზიარებს საკუთარ ფიქრებსა და განცდებს, თანაც ჯიბით დააქვს სეირნობის დროს, თუ სპორტდარბაზში ვარჯიშისას. „ასე გაცილებით მშვიდად ვარ“, – აცხადებს კორეელი ქალბატონი. ახალგაზრდები არა მხოლოდ ელაპარაკებიან „შინაურ“ ქვებს, მას ალამაზებენ კიდეც – მასზე ხატავენ ან პაწაწუნა კომბინეზონებს აცმევენ. კორეულ ინტერნეტ-მაღაზიებში, კარგი „შინაური“ ქვა, დაახლოებით, 9 დოლარად იყიდება. ქვების ბუმი კორეაში კორონავირუსის პანდემიის „წყალობით“ დაიწყო. მისი პოპულარობა, ასევე, უკავშირდება იმ ადამიანების რიცხვის ზრდას, რომლებიც სიმარტოვეში ცხოვრობენ. სტატისტიკის მიხედვით, 19-დან 39 წლამდე კორეელების 3.1% მარტოხელები არიან, რომლებიც ჩაკეტილად ცხოვრობენ.

საფირმო ჰამბურგერი ლამაზად გამელოტებისთვის

ბრაზილიური „ბურგერ კინგის“ თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, ყველა გააკვირვონ საკუთარი კრეატიულობით და გამელოტებული მამაკაცებისთვის აქცია წამოიწყეს. ლამაზი მელოტი თავისთვის, ისინი საფირმო ბურგერს უფასოდ მიიღებენ. ამის შესახებ კომპანიამ სოციალურ ქსელში განაცხადა. აქცია რამდენიმე დღის წინ დაიწყო და ის თვის ბოლომდე გაგრძელდება. ქვეყნის მცხოვრებლებს შეუძლიათ, ბედი სცადონ და „ბურგერ კინგის“ თანამრომლებს საკუთარი სიმელოტე წარუდგინონ. ყველაზე მიმზიდველად ითვლება გამელოტება, რომელიც შუბლიდან იწყება, ორივე მხარეს თანაბრად მიდის და თავის ზედა ნაწილში მთავრდება. პოსტი თავისი წესებით, აქციის დაწყებიდან ორიოდე დღეში, უკვე ორ მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა და გააზიარა.

„ვიაგრა“ ალცჰაიმერის რისკებს ამცირებს



ცნობილი ფარმაცევტული საშუალება, რომელსაც ერექციული დისფუნქციის საწინააღმდეგოდ იყენებენ, შესაძლოა, მალე ალცჰაიმერის დაავადების რისკების შესამცირებლადაც გამოიყენონ. მასშტაბური კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ „ვიაგრა“ ნერვულ უჯრედებში იმ ცილების შენარჩუნებას უწყობს ხელს, რომლებიც ალცჰაიმერის განვითარებას ეწინააღმდეგებიან. კვლევებით აქამდეც დადასტურდა, რომ ფოსფოდიესტრაზას ფერმენტი (PDE) დემენციაზე პასუხისმგებელ ნეიროდეგენერაციებს ბლოკავს. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან ცნობილია, რომ PDE ნეიროპლასტიურობაზე ახდენს გავლენას. ცხოველებზე ჩატარებულმა კვლევებით გაირკვა, რომ ყველაფერი ეს კოგნიტური ჯანმრთელობისა და მეხსიერების გაუმჯობესებაზე დადებითად მოქმედებს. ამჯერად, ამერიკელმა სწავლულებმა ალცჰაიმერით დაავადებული პაციენტებისგან ამოღებულ ღეროვან უჯრედებზე ექსპერიმენტი ჩაატარეს. მათ „ვიაგრას“ შემადგენლობით მკურნალობდნენ. ხუთი დღის შემდეგ, დადებითი შედეგები უკვე შესამჩნევი იყო, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შესაძლოა, „ვიაგრა“ მართლაც იცავდეს ალცჰაიმერის განვითარებისგან.

ელექტრონულ სიგარეტს აკრძალავენ



ბელგიაში ელექტრონულ სიგარეტებსა და ერთჯერად „ვეიპებს“ აკრძალავენ. მათი ყიდვა არც ონლაინ იქნება შესაძლებელი. ადგილობრივი ხელისუფლება შეშფოთებულია „ვეიპინგის“ მზარდი პოპულარობით მოზარდებს შორის, იმის გათვალისწინებით, რომ კვლევებით დადგენილია მისი მავნე შედეგები ადამიანის ჯანმრთელობაზე. აკრძალვა უკვე მომავალი წლიდან – 2025 წლის იანვრიდან შევა ძალაში. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად არსებული კანონმდებლობით, 18 წლამდე ახალგაზრდებისთვის ელექტროსიგარეტების მიყიდვა აკრძალულია, ის მაინც პოპულარულია მოზარდებში, როგორც ბელგიაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მარკეტოლოგები ახალგაზრდებს „ვეიპების“ მრავალფეროვანი გემოებით იზიდავენ, მათ შორის, საზამთროს, მარწყვის, კანფეტებისა და ბამბის ნაყინის გემოთი.

ხელოვნურ ინტელექტს ხუმრობას ასწავლიან

ამერიკელი სწავლულები ხელოვნურ ინტელექტს ხუმრობას ასწავლიან. საამისოდ მასში ანეკდოტებს, თამაშებსა და სალაპარაკო ფრაზებს შეიტანენ. გარდა ამისა, სისტემას ყოველდღიურად ავსებენ სხვადასხვა სფეროს საბაზისო ცოდნით. მკვლევარები აცხადებენ, რომ ჯერჯერობით, მოდელი რთულად იგებს იუმორსა და სარკაზმს, ზოგჯერ მას პირდაპირი მნიშვნელობითაც კი აღიქვამს. ვინაიდან ტექნოლოგია მითითებული ალგორითმით მუშაობს, ეს მისი იმპროვიზაციის შესაძლებლობებს ამცირებს.

ლუდის ბოთლი ქაღალდისგან

ლუდის მწარმოებელმა კომპანიამ – Carlsberg Group სასმელისთვის ბიოხრწნადი ბოთლები შექმნა. ეკოლოგიური სიახლე ბრენდმა კოპენჰაგენში წარმოადგინა. ახალი ბოთლი ორი სახისაა. ფორმით ორივე ჩვეულებრივ ლუდის ტარას ჰგავს და სლოგანი აქვს ამოტვიფრული ზედაპირზე. ბოთლები ხის ბოჭკოებისგან შექმნილი ქაღალდით დაამზადეს. ერთი მათგანის შიდა ზედაპირი პოლიეთილენ-ტერეფტალაის ფენით არის დაფარული, მეორის – პოლიეთილენ-ფურანოატის. ცნობილი კომპანია, ჯერჯერობით, ახალ ბოთლებს ტესტავს, „იდეალური ვარიანტის“ საპოვნელად. ბოთლების მასობრივ წარმოებაზე ჯერ არაფერი თქმულა. კომპანიის მესვეურთა განცხადებით, ხისგან შექმნილი ტარა გაცილებით ნაკლებ ზიანს აყენებს გარემოს, ვიდრე შუშის ბოთლები ან ალუმინის ქილები.

„ძილის ტურიზმი“ პოპულარობას იძენს

მთელ მსოფლიოში, სხვადასხვა კურორტსა თუ სასტუმროებში, ძილზე ორიენტირებული სულ უფრო მეტი სერვისი ჩნდება. ბევრია ტურისტი, რომელსაც უბრალოდ სურს, რომ კარგად გამოიძინოს და ასე გამოიკეთოს ჯანმრთელობა. დასვენების ასეთი ფორმა განსაკუთრებით პოპულარული კორონავირუსის პანდემიის შემდეგ გახდა. შედეგად, ბევრმა მსხვილმა მოთამაშემ სასტუმროების ინდუსტრიაში, ყურადღება გადაიტანეს მათზე, რომლებიც გამოძინებას ვერ ახერხებენ. მაგალითად, ტურისტებს სთავაზობენ ნომრებს, რომლებიც ინოვაციური ხმის იზოლაციით არის აღჭურვილი, ან გაუმჯობესებული საწოლები აქვთ, ასევე სპეციალური პირობებია მედიტაციისა და რელაქსისთვის, არის არომათერაპია და ბალახეული სასმელები.

ჰაერის დაბინძურება ქალებს ასუქებს

ჰაერის დაბინძურება გავლენას ახდენს ქალების წონაზე, სხეულის მასის ინდექსზე, წელის გარშემოწერილობასა და ცხიმდაგროვებებზე. სუსტი სქესის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც გამუდმებით სუნთქავენ მცირე ნაწილაკებით, აზოტის დიოქსიდიტა და ოზონით, ორგანიზმში ცხიმის შემცველობა მაღალი და ნაკლები კუნთოვანი მასა აქვთ. ასეთი დასკვნები ამერიკელმა სწავლულებმა გააკეთეს, მიჩიგანის უნივერსიტეტიდან. მათ სხვადასხვა რასის წარმომადგენელი, 1.7 ათასი ქალის მონაცემები გააანალიზეს, რომელთაც რვა წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. დაბინძურებული ჰაერის გამო, ქალების სხეულში 5%-ით მეტი ცხიმი დაგროვდა. მკვლევარების განცხადებით, მავნე ატმოსფერული ნაწილაკების გავლენის კომპენსირება ფიზიკური აქტივობითაა შესაძლებელი.

ლაგერფილდის ბინა აუქციონზე გაიყიდა

ელიტური ბინა პარიზის ისტორიულ ცენტრში, სადაც ცნობილი მოდელიორი კარლ ლაგერფილდი სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა, აუქციონზე 10 მილიონ ევროდ გაიყიდა. ბინა დიზაინერის ნივთებისა და ინტერიერის საგნების გარეშე იყო წარდგენილი. სახლის სასტარტო ფასი 5.3 მილიონი ევრო იყო, ბოლოს კი 10 მილიონად გაიყიდა. ბინის ახალი მფლობელი ქალია, რომლის სახელითაც აუქციონზე მისი ადვოკატი ვაჭრობდა. მემკვიდრეებიდან ვინ გაიტანა ლაგერფილდის ბინა გასაყიდად, ვაჭრობის ორგანიზატორები არ ახმაურებენ. სახლში, რომლის ბიბლიოთეკის ფანჯრებიც ლუვრსა და სენას გადაჰყურებს, ლაგერფილდი თითქმის ათი წელი ცხოვრობდა. ბინის ფართი 260 კვადრატული მეტრია და 1694 წელს აშენებულ, ექვსსართულიან შენობაში მდებარეობს. მოდელიორმა ის მთლიანად შეცვალა და ფუტურისტულ სტილში გააფორმა. კუტურიე აცხადებდა, რომ სპეციალურად შეარჩია შავ-თეთრი ფერები, რადგან გარშემო არსებული სიჭრელისგან დასვენება სურდა. ყველაზე დიდი, 120 კვადრატული მეტრის მქონე ოთახი ბიბლიოთეკა იყო – ლაგერფილდს ძალიან უყვარდა კითხვა. მისი კოლექცია 300 ათასზე მეტ წიგნს ითვლის.

ოფიციანტების რბოლა გაიმართა

საფრანგეთის დედაქალაქში, ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, საუკუნოვანი ტრადიცია გააცოცხლეს. დიდხნიანი შესვენების შემდეგ, პარიზში ოფიცანტების შეჯიბრი გაიმართა. 2 კილომეტრის გარბენა ლანგრით ხელში, ოლიმპიური დისციპლინა არ არის, თუმცა მას საკმაოდ ბევრი – რამდენიმე ათასი მაყურებელი ჰყავდა. შეჯიბრის მონაწილეებს, სპორტული ფორმის ნაცვლად, პროფესიული თეთრი მაისური და შავი შარვალი/ქვედაბოლო ეცვათ, აუცილებელი იყო წინსაფარიც. ხელში კი სავსე ლანგარი ეჭირათ. აღსანიშნავია, რომ ლანგრით ხელში სირბილი დაუშვებელია, მხოლოდ სწრაფად სიარული შეიძლება. ეს ღონისძიება პროფესიის აღიარებაა, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი და პატივსაცემია პარიზში, სადაც 2 მილიონ მცხოვრებზე, დაახლოებით, 1 500 კაფე და „ბისტრო“ მოდის.

ჩინოვნიკებს რთული ფრაზები აუკრძალეს

ახალი ზელანდიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ჩინოვნიკებს, მოქალაქეებთან კომუნიკაციისას, რთული ლექსიკისა და ვიწრო სპეციალიზაციის ტერმინების გამოყენებას უკრძალავს. ვარაუდობენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მარტივი ენით ნათქვამს უკეთესად გაიგებენ მიგრანტები, დაბალი განათლებისა და ინტელექტის მქონე ადამიანები. ოპოზიციამ „მარტივი ენის კანონი“ გააკრიტიკა და პირობა დადო, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, მას გააუქმებს. პოლიტიკოსები თვლიან, რომ ეს აკრძალვა კიდევ უფრო მეტ ბიუროკრატიას ბადებს – ახლა ჩინოვნიკებს თვალ-ყური უნდა ადევნონ და მათი კომუნიკაცია გააანალიზონ.

ბოსტნეულის კაფსულებს ამზადებენ

ისრაელის კომპანია FoodTech ANINA Culinary Art უნიკალურ მზა კერძებს უშვებს, რომელიც ეგრეთ წოდებული, „მახინჯი“ ბოსტნეულისგან, კაფსულების სახითაა დამზადებული. მას მხოლოდ მიკროტალღურ ღუმელში გაცხელება სჭირდება და სადილიც მზად იქნება. ამ გზით, კომპანია ინოვაციური ტექნოლოგიების, დიზაინის სფეროში გამოცდილებისა და კულინარიის ცოდნის წყალობით, საკვების ნარჩენების შემცირებისთვის იბრძვის და გვაჩვენებს, რომ ულამაზო პროდუქტების გადამუშავებით გემრიელი კერძების მომზადება შეიძლება. კაფსულის გარე გარსი გამშრალი ბოსტნეულის ან ხილისგან შედგება, შიგნითა ნაწილი კი სხვადასხვა ნატურალურ პროდუქტს შეიცავს, რომელიც რეცეპტების მიხედვით იცვლება. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია Pasta Primavera (ბოსტნეული, იტალიური ბალახეული და მაკარონი), ასევე, ხმელთაშუა ზღვის ჯამი (ბოსტნეული, ბულგური და შავი ოსპი) და ვიეტნამური ჯამი (ბრინჯის ლაფშა და ბოსტნეული). ყოველი კაფსულა შეიცავს მცენარეულ საკვებს, რომელიც მდიდარია ცილებით, უჯრედისით, საღებავისა და კონსერვანტების გარეშე. ეს ადამიანის კვების დღიური ნორმის 40%-ს შეადგენს. ისრაელში წარმატებული სტარტის შემდეგ, კომპანია მის განვითარებას სხვა ქვეყნებშიც გეგმავს.

ახალი ტიპის ანტობიოტიკი შექმნეს



შვედმა სწავლულებმა შეიმუშავეს GMPcides – ანტიბიოტიკების ახალი ტიპი, რომელიც მკურნალობის მიმართ მდგრად ბაქტერიებსაც ანადგურებს. მათ შორის, იმ მიკროორგანიზმებსაც, რომლებიც საავადმყოფოს შიგნით ინფექციებს იწვევს. პრეპერატი თავსებადია სხვა წამლებთან. მკვლევართა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ახალი ანტიბიოტიკები არა მხოლოდ აჩერებენ მიკრობების დაყოფას და გამრავლებას, არამედ, კლავს კიდეც მათ. სიახლე ეფექტურია ვანკომიცინ-რეზისტენტული ენტეროკოკების მიმართაც. ბაქტერიების ეს ტიპი აშშ-ის დაავადებების კონტროლის ცენტრმა მსოფლიო ჯანდაცვისთვის სერიოზულ საფრთხედ აღიარა.

მეთევზეებს ნაგვის „დაჭერაში“ ფულს გადაუხდიან

ინდონეზიელებმა ოკეანის ნაგვისგან გასაწმენდად უჩვეულო პროგრამა დაიწყეს. ერთი თვის განმავლობაში, ქვეყნის საზღვაო საქმეთა და მეთევზეობის სამინისტრო 10 დოლარს გადაუხდის კვირაში მათ, რომლებიც ყოველდღიურად, წყალში 4 კილოგრამ ნაგავს „დაიჭერს“. ამ აქციაში მონაწილეობის სურვილი უკვე 1700-ზე მეტმა ადამიანმა გამოთქვა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, იქაური მეთევზეები კვირაში 9 დოლარზე ნაკლებს გამოიმუშავებენ, ამიტომ ხელისუფლების წინადადება მათთვის ხელსაყრელია. აღსანიშნავია, რომ ინდონეზია ოკეანის პლასტმასით დაბინძურების ლიდერია მსოფლიოში. სპეციალისტთა გათვლებით, პოლიმერული ნარჩენების გადაყრა თუ ასეთი ტემპებით გაგრძელდება, 2050 წლისთვის, ნაგვის მასა ოკეანეში თევზის მასას გადააჭარბებს.

მანქანა ადამიანსაც „გარეცხავს“



იაპონელი გამომგონებლებისგან რომ აღარაფერი უნდა გაგვიკვირდეს, კარგად ვიცით, თუმცა ზოგჯერ მაინც ახერხებენ ჩვენს გაოცებას. ამჯერად, ჩვენს გაოცებას ტექნოლოგიური კომპანია Science Co. Ltd აპირებს, რომელიც ინოვაციებზე მუშაობს სააბაზანოებისა და სამზარეულოებისთვის. ცოტა ხნის წინ, კომპანიამ გეგმები გაასაჯაროვა, რომელიც ადამიანის სარეცხი მანქანის წარმოებას გულისხმობს Mirable-ის პროდუქტების ხაზით. ამ უჩვეულო მოწყობილობის პროექტს Usoyaro უწოდეს. მისი მიზანი არა მხოლოდ მომხმარებლის სხეულის საგულდაგულო წმენდაა, არამედ, მისთვის დასასვენებელი სივრცის შეთავაზებაც, სადაც ის დამამშვიდებელი მუსიკის თანხლებით მოდუნებას შეძლებს. გავრცელებული ინფორმაციით, Usoyaro კომპანიის პრეზიდენტის იასუაკი აოიამას საყვარელი პროექტია. ის ჯერ კიდევ 10 წლის იყო, როცა ადამიანების სარეცხი მანქანის იდეას პირველად მოჰკრა ყური. ძალიან უნდოდა, თავად შეექმნა ასეთი მანქანა და ახლა შანსი მიეცა. როგორც ვარაუდობენ, მოწყობილობა გასაყიდად ბაზარზე 2025 წლისთვის უნდა გამოჩნდეს.

ლოცვით განკურნება მეცნიერულად დამტკიცებულია

მედიკოსების მტკიცებით, ლოცვისა და მედიტაციის ძალა განუზომელია. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის გამოყენებით ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სისტემატური ლოცვა ტვინის იმ უჯრედებს ააქტიურებს, რომელიც უამრავი მძიმე დაავადების დამარცხებას უწყობს ხელს და ტვინის სტიმულირებას ახდენს. კვლევაში ის ხანდაზმული ადამიანები მონაწილეობდნენ, რომელთაც მეხსიერების პრობლემები ჰქონდათ. ჯეფერსონის უნივერსიტეტის პროფესორი ენდრიუ ნიუბერგი მათ რვა კვირის განმავლობაში, დღეში 12 წუთით, ლოცვის პროცესში აკვირდებოდა. შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა და მეცნიერს დასკვნების გაკეთების საშუალება მისცა – ნიუბერგი ამტკიცებს, რომ ტვინს სტრუქტურული ცვლილების უნარი აქვს, რაც ადასტურებს, რომ ყველა დაავადების განკურნება შესაძლებელია. კიდევ ერთი ექსპერიმენტის შედეგად, რომელიც ფლორიდაში, სიმსივნის კვლევით ცენტრში ჩატარდა, სწავლულებმა დაადგინეს, რომ კვლევაში მონაწილე 40 ათასი პაციენტიდან, განსაკუთრებით მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა, რომლებიც რეგულარულად ლოცულობდნენ.

სიმსუქნისთვის ჯარიმას დააწესებენ

ლათინო-ამერიკულ ქვეყანა პუერტო-რიკოში კრიზისია – მისი სულ უფრო მეტი მცხოვრები ჭარბი წონის პრობლემას აწყდება. განსაკუთრებით მაღალი პროცენტი ბავშვებში შეინიშნება. ამ პრობლემის გადაჭრას ადგილობრივი კანონმდებლები ცდილობენ. ისინი კანონპროექტს განიხილავენ, რომლის მიხედვით, ჭარბი წონის მქონე ბავშვის მშობლებს სასჯელი ელით. თუ ბავშვის მდგომარბა არ გაუმჯობესდა, შესაძლოა, მშობლებს ბრალიც დასდონ პატარების მიმართ სასტიკ მოპყრობაში. ახალი წესების მიხედვით, სკოლები გამოავლენენ იმ ბავშვებს, რომელთაც სიმუქნე აწუხებთ და გააგზავნიან მათ ჯანდაცვის კონსულტანტებთან მიზეზის გასარკვევად, ასევე დიეტისა და ფიზიკური ვარჯიშების რეკომენდაციებისთვის. ბავშვის მდგომარეობას თვეში ერთხელ შეამოწმებენ. თუ მდგომარეობა ექვსი თვის შემდეგ არ გაუმჯობესდება, მშობლებს 500 დოლარით დააჯარიმებენ. შესაძლოა, თანხა 800 დოლარამდეც გაიზარდოს, თუკი ნახევარი წლის შემდეგ, მესამე შემოწმებაც არ დააფიქსირებს ბავშვის წონაში მნიშვნელოვან კლებას.

ავადმყოფი მოხუცი ბოდიბილდერი გახდა

სამხრეთკორეელი 75 წლის ქალბატონი მეორე ადგილის მფლობელი გახდა ბოდიბილდერების შეჯიბრზე. ლიმ ჩენ-სო სპორტულ დარბაზში გაუსაძლისი ტკივილების გამო მივიდა, რომელიც ხერხემლის არხის სტენოზით იყო გამოწვეული. მოხუცის თქმით, ვარჯიშისას ტკივილი აუტანელი იყო, მაგრამ კარგად ესმოდა, რომ თუ არ მოითმენდა, მერე უარესი იქნებოდა. გარკვეული პერიოდის ვარჯიშის შემდეგ, ეს ტკივილები საერთოდ გაქრა და მწვრთნელმა მას ბოდიბილდერების შეჯიბრში მოინაწილეობა შესთავაზა. ასაკოვან ქალს თავიდან ეუხერხულებოდა სცენაზე ბიკინით და მაღალი ქუსლებით გამოსვლა, თუმცა, ბოლოს დათანხმდა. ერთ-ერთ კონკურსზე, მან მეორე ადგილი დაიკავა და უმალ პოპულარული გახდა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.